

б у ј б а

№ 3 — 4. 1938 ፩.

Digitized by srujanika@gmail.com

ଓৱে ১ ৪. ২০' ৩.



„მომხარებელი“

- რად გინდა ამ ზამთარში ამოდენი საზაფხულო ქსოვილები?
- გამოდგება: ამის მუშტარს ახლაც ბევრს ვიშოვთ.



# კალისტოს გასაჭირი



დირექტორობა თავისთავად მეტად საპატიო თანამდებობაა, მაგრამ კალისტო კაპეტივაძეს თავისი თანამდებობა არაფრად მიაჩნდა.

„დირექტორი მქვია ვითამ ახლა მე? — ამბობდა თავის გუნებაში კალისტო. — მურაბის ქარხნის დირექტორობა რაი! მომექრა თავი კაცი! საღმე პატარა მაღაროს დირექტორი მაინც ვიყო, ან რომელიმე სახლის მშენებლობის უფროსი. მურაბის ქარხნის დირექტორი! ბედი მაქვს ახლა მე?“

ამიტომ იყო, რომ მურაბების საქმე კალისტოს ფეხებზე ეკიდა. თვეში ერთხელ თუ შევიდოდა თავის ქარხნის კანტორაში ჯამაგრის მისალებად, თორემ ისე თვალით ვერავინ ხედავდა. სად დადიოდა კაცმა არ იცოდა.

ამბობდნენ, რომ მის ქარხანაში ყველაფერი არეული იყო. ვითომ მურაბები ცუდი ხარისხის ხილისაგან მზადდებოდა; არ იყო სანიტარული წესები დაცული; რომ მუშები ცუდ პირობებში მუშაობდნენ, ვითომ... მაგრამ კალისტოს ამისთვის არა სცალოდა. იმის მაღლობელიც უნდა ყოფილიყო ყველა, რომ მურაბების ქარხნის დირექტორობა იყადრა.

იყო და იყო ასე კალისტო. ბედნიერი იმით, რომ საქმე ფეხებზე ეკიდა და უბედური იმით, რომ მის ასეთ ესთეტიკურ თანამდებობას არ ჰქონდა მძიმე ინდუსტრიალური შინაარსი. დიდხანსაც გაგრძელდებოდა კალისტოს აზრით მისი ასეთი უდარდელი ცხოვრება, მაგრამ...

ერთ შესანიშნავ დღეს კალისტოს უწყება მოართვეს და აცნობეს, რომ ის აუცილებლად უნდა დასწრებოდა ადგილობრივი შრეწველობის სამხართველოში დირექტორთა თათბირს.

კალისტო გამოეწყო. პორტფელი რაღაც ქალალდებით გატენა, ჩაიცა თავისი „ცარსკი“ ჩექმები, გულის ჯიბიდან ავტომატურ ჭალმისტარს ამთაყოფინა თავი და თათბირზე გასწია.

როდესაც თათბირი გაიხსნა და თამბაქოს ქარხნის დირექტორმა ლაპარაკი დაიწყო, კალისტოს ცივმა ოფლმა დაასხა. ახლა მიხვდა, რომ თავის ქარხნის შესახებ არაფერი იცოდა. თამბაქოს ქარხნის დირექტორი კი გაცხარებული ლაპარაკობდა ყოველ წვრილმანზე, დეფექტების აღმოფხერაზე, თავის ქარხნის სიმძლავრის გადიდებაზე, თამბაქოს ფერმენტაციაზე და ყველა ამისთანა უცნაურ რამების გავონებაზე კალისტოს სულ თავბრუ დაეხვა.

„რაფრათ შეუსწავლია ამ ოჯახების ეს თავის საქმე. — ფიქობდა კალისტო. — მე რა ვთქვა ჩემი რიგი რომ მოაღწევს, გავიპარო? რაფრათ მერე? არა და... ვიღაცამ ეს მურაბა გამოიგონა, იმას რა ვუთხრა მე! რა საჭიროა ეს მურაბა? ვინ ჭამს ამ ბურუუაზიულ გამოვნების ნაყოფს? რა იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე ეს წარმოება. ვიქნებოდი ჩემთვის და მორჩა!“

ორი საათის შემდეგ კარები გაიღო, კაბინეტში თეთრწინასაფრინი ქალები შემოვიდნენ და თათბირის მონაწილეებს ჩაი ჩამოურიგეს. ჩაის ნაცხვრებიც მოაყოლეს და კალისტოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნამცხვერებთან ერთად რამოდენიმე ქილა მურაბაც დადგეს. ლამაზი ეტიკეტიანი ქილა, კალისტოს ქარხნის ნაწარმოები.

კალისტო შეირხა სიამოვნებით წელში გაიმართა და დირექტორებს ამაყად გადახედა.

— ოჰ! ჩემი ქარხნის მურაბა! — ხმამაღლა შენიშნა კალისტო და მის გერბით მჯდომ ჭალარაშერეულ ქალს, საკონდიტერო ფაბრიკის დირექტორს მიმართა — თქვენ, როგორც ქალს, მურაბა გეყვარებათ, მიირთვით....

კალისტო უკვე ფრინავდა სიხარულით. რა შესანიშნავი ჭილები ჰქონია მის ქარხანას. რა მიმზიდველი. მისი მოლვაშეობის დოკუმენტი. აშენდა კაცი, პირდაპირ აშენდა და აგერ თითონ, რომ ჭამენ ამ მურაბას, აღმარტინ გამოუმუშვდებათ იმის ქარხნის შესახებ. ფაქტია!

— მიირთვით, მიირთვით. — შეეპატიუა მეზობელ დირექტორ ქალისტო და ლამბაქზე მურაბა თავისი ხელით გადმოულო.

— გმადლობთ, ნუ სწუხდებით.

— თქვენც მიირთვით. — გადმოულო მარჯვნივ მჯდომ მეზობელსაც მურაბა კალისტომ. — თქვენც, ამხანაგო... თქვენც... ჩვენი ქარხნის მურაბა გახლავთ... დიახ, ჩემი ქარხნის....

— თქვენ რატომ არ მიირთმევთ თითონ? — მიმართა ჭალარა ქალმა კალისტოს.

— როგორ არა, მეც გაიხლებით. — უპასუხა ღმილით კალისტომ, ქილაში კოვზი მაღიანათ ამოუსვა და როდესაც თავდაღმული კოვზი ღმილაქზე გადმოაყირავა, მთელ სხეულში ისე დაზრიალი თითქო ელექტრონს დაერჩინოს მისთვის.

კოვზის საქმაოდ მოზრდილი ხოჭო გადმოყვა.

კალისტომ სწრაფად დააფარა ზევიდან კოვზი ამ საშინელებას, გაოფლილ შუბლზე ხელი მოისვა და იქით-აქეთ მიმოხედა ხომ არავინ შემნიშნაო.

„მგონია არავის შევუნიშნავარ. — გაიფიქრა კალისტომ. — რას მოვესწარი ამას. აშენად დავიღუბე კაცალი კაცი. რომ გასკდეს მიწა და თან ჩამიტანოს, ის მირჩევნია. ვაი შენ ჩემო თავო. სად ვიღუბები ეს მარგალიტივით ბიჭი!“

— თქვენ რატომ არ მიირთმევთ? — მიმართა ისევ ჭალარა შერეულმა ჭალმა, — თუ თქვენი ქარხნის ნაწარმოებს თითონ არა სჭამთ?

— ა.. არა.. რასა ბრძანებთ! — შეკრთა კალისტო, დაფაცურდა, ცხელი ჩაი სწრაფად მოსვა და პირი დაიწვა.

„რას ჩამაცივდა ეს გადაყრუბული ბებერი — ფიქრობდა მწარეთ კალისტო — ეს ოჯახებირი, მგონია მერაშიყება! არ ვჭამო. სირცევილია. დავტოვო? დამლაცებელი ქალები ნახავენ და უარესია. რა ვწნა, რა წყალში გადავარდე?“

— თქვენ რაღაც საეკვით არ მიირთმევთ თქვენს მურაბას. — ეშმაკური ღმილით მიმართა ისევ ჭალმა.

„ბიჭო, რას გადამევიდა ძევლი ხურჯინივით ეს ოჯახდასაქცევა, მგონია შეამნია როლცა, რავა ეშმაკურად იცნის... დამანებდა თავი რა გინდა ქირა, ცოლად გითხოვ თუ გინდა, ოღონდ ახლა მომეშვი“ — განაცრობდა თავის შეშუოთებულ ფიქრს კალისტო.

— თქვენ მაინც არ ჭამთ მურაბას?..

— არა, როგორ არა.. დიახ... გიახლებით...

„მომაცვლევიებს თავს ვიღოცაა ეს... ეს... იტყვიან ახლა კაცაც კაცი რაზე მოკლა! რა უნდა ახლა ჩემგან? არა და.... რა ვქნა მე უბედურმა. დატოვება არ შეიძლება. ჯიბეში ვერ ჩავიდე... ეე. შევჭამ და ის იქნება! რა ვწნა, აბა! მოკვლით არ მომელავს და სირცევილის ჭამას ამის შექმა მირჩევნა. გავუძლებ როგორც იქნება“.

კალისტომ შეურჩია ღრო და როდესაც ყველას ყურადღება მოლაპარაკისკენ იყო მიქცეული, უცებ მოუსვა ლამბაქზე კოვზი და სწრაფად გააქანა პირისაკენ. როდესაც მურაბაში ამოვლებულ ხოჭოს ყლაპავდა თვალები ისე მაგრად დახუჭა, რომ ცრუმლები გაღმოვარდა. ერთი კი იგრძნო, რომ ვერაგმა ხოჭომ თავისი ფეხებით ყელი ჩატხაჭნა, მაგრამ მეტი სახითათ არაფერი მომხდარა და კალისტოს გულზე მოეშვა. აჩქარებულად დაყოლა ცხელი ჩაი და შეეცად ისეთი სახე მიეღო, თითქო არაფერი მომხდარიყოს.

აკ. გელიაშვილი.



— ბახჩო ჯაან! შენს საფლავზე რა ქნები.. ბალი ქნეს ბახჩო-ჯან! წალკოტივით რამე ბალი გააშენეს.

## ცხელ-ცხელი ამბები

### მზრუნველი

**რაღვერი.** წალვერის კეთილმომწყობმა რომანოზ ცხადაძემ აბა-  
ნო გაზაფხულამდე დაკეტა; ამ „ლონისძიებას“ იმით ასაბუთებს,  
რომ მოსალოდნელია ზამთარში ცხელი აბანოდან გამოსული ხალ-  
ხის გაციებამ.

უჩინარი

### ვინც მოასწრობ მისია

**ჩეოროზეუ.** რაისაგაზეთო ბიუროს გამგემ ჭეშიამ ხელმომ-  
წერლებზე მოსულ უურნალ-გაზეთებს თავის კანტორაში მიუჩინა  
ბინა, ასეთი წარწერით: „ვინც მოასწრებს მისია“. უურნალ-გაზე-  
თებს დატაცებაში ყველა გამვლელ-გამომვლელს იქც მონაწილეო-  
ბის მიღების უფლება.

კ. ლესეჭინელი

### საჩივარი

**იძიდანვე.** ხმები გავრცელდა რომ ადგილობრივ სამკითხვე-  
ლოს თაგვები საჩივარის აღძერას აპირებენ სამკითხველოს გამგის  
წინააღმდეგო. ისინი მოითხოვენ რომ გამგემ, რომელიც თვეში ორ-  
ჯერ შემოიხედავს ხოლმე სამკითხველოში, სახრავი მაინც დაგვი-  
ტოვოს რამე, რომ შიმშილით ფეხები არ გავფშიქოთ.

კ. ლე-ნელი

### მზრუნველობა

**ცხაპაია.** ქალაქის საბჭომ საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწ-  
ყობაზე გათვალისწინებულ 16450 მანეთიდან პირველ კვარტალში  
უკვე დახარჯა 0, 0001 მანეთი.

კ. ნელი

### ცეცხლოკიდებული

**დუშეთი:** რაიფინგანის ველად გაჭრილ გამგეს დ. კილაძეს  
ასეთი შინაარსის წერილი დაუტოვებია თავის კაბინეტში: „არც  
სამსახური მაწუხებდა და ნურც სხვა შემაწუხებს ძებნით. ჩემი გუ-  
ლი ათასმა სიყვარულმა ზღვასავით ააფორიაქა და ცვილივით და-  
ადნო. გადავსწყვიტე ჩემს სირინოზებთან ერთად ან თავი მოვიკ-  
ლა და ან მრავალცოლიანობის პრობლემა გადაესჭრა—„დაეთი“.  
ხეველი.

### დ. ნინოვალის ტემპი

**ნიდისთავი** (გორის რაიონი). სოფ. საბჭოს თავმჯდომარე დ.  
ნინოვალიმა გუშინ გამოლვიდებისას ერთხელ კიდევ გადაყლუნდა  
მძრალად ხვნის მზადების სადღეგრძელო და ისევ ტკბილ ძილს  
მიეცა.

კ. ტ-შე.

# ფაშისტურ სასამართლოები

ნ. დონისა  
ეროვნული  
კულტურული



შესჯული — გრალდებული, უკანასკნელი სიტუაცია თქვენია; კიდევ რა გაქვთ თავის გასამართლებელი?  
ბრძალებული: — ალარაუდერი ალარ დამრჩა: უკანასკნელი მარკა შეონდა და ისიც თქვენს მდგრანს მივეცი.

# „ეგ არის, რასაც ეძებდი...“



ერთხელ ამხ. სერგო ყრუაშვილს ტერორი მოუწყეს. უნდოდათ დაუანგული ტყვიით გაეპოთ მისი შუბლი და ენახათ, რა მასალისა-გან შესდგება ის გული, რომელსაც კერძო ვაჭრები და სპეცულან-ტები არ ებრალება.

რაჯო სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც გეტყვით, ვინ არის ეს ამხანაგი და მისი სისხლი რატომ სწყუროდათ.

ამხ. ყრუაშვილი მეტად მტკიცე კაცია. 1921 წელს, პარტიის რიგებში რომ ლებულობდნენ, ფაცი მისცა პარტიას, რომ მუდამ მი-სი ერთგული იქნებოდა და განუხრებად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა შესრომელთა ინტერესებისათვის.

და მართლაც, ამ საქმისათვის მას არასოდეს უღალატნია. სა-ქართველოს ფინანსების სისტემაში მუშაობდა და კარგი სპეცია-ლისტის სახელიც დაიმსახურა. მაგრამ ხომ არ შეიძლება მტერსაც უყვარდე და მოყვარესაც! სპეცულანტებმა შეიძულეს იგი.

— რა ურჯულო კაცია, ეგ არის ჩეენი დამბეგრავი, მაგასთან არც ტკბილი სიტყვა გადის, არც მუქარა, არც პურმარილი. მოდი ერთი წავახრით სადმე და თავიდან მოვიშოროთ, — გადასწყვი-ტეს სპეცულანტებმა.

შეთქმულების ერთმა მონაწილემ ამხანაგები გასცა და მათი გა-დაწყვეტილება ყრუაშვილს აცნობა.

ყრუაშვილი მაინც არ მოლბა. დაე, სწორი ხაზისათვის ბრძო-ლაში მოვკვდე, და შეუპოვრად განავრძო მუშაობა.

— კაცი! რას აგრიერებია ეგ რაღაც ხაზია, — უსაყვეფურებლა-შეულლე. — სხვა სამუშაოზე მაინც გადადი, თორემ მოგქლავენ და მაშინ რაღა მეშველებაო.

გასული წლის მაისში ყრუაშვილი თბილისიდან ტყიბულის რაი-ოლმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. რაიონ-ში ახლად ჩასულ უცხო კაცის, როგორც მოვეხსენებათ, ზოგიერთ-ში ადგილობრივმა მუშაკებმა აღმაცერად დაუწყეს ყურება: მხრე-ბი აიჩეჩეს, თავი გადააქნ-გაღმოაქნის, გაიკვირვეს — „ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და სადაურიო“.

ყრუაშვილმა სულ მალე გამოამულავნა საფინანსო განყოფილე-ბის ერთი ინსპექტორი, რომელიც მავნებლობას ეწეოდა. ეს გვამი უშუალოდ დაკავშირებული იყო რაიოლმასკომის ყოფილ თავმჯ-დომარესთან და ნადავლს ერთად ყლაპავდნენ. შინსახეობმა მათ სა-თანადო ადგილი მიუჩინა.

ხალხის მტრები, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ გა-მომელავნებულნი, ყრუაშვილის წინააღმდეგ შეიკაზმნენ „თოფითა და ჯინჯილითა“. — მაგან დაგვირღვია მყუდრო ცხოვრება, მანამ-დე ტკბილი ბურისჭამა გვქონდა, გავაგდოთ აქედან. „შენს მაღლ-სა, ჩემის ნუ გვინდა, სუთრასა აგვიშლიან“, — ჩასიჩინებდნენ ისინი რაიონმას ყოფილ მდივანს. რაიონმას მავნებელი მდივანიც ჭოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ ყრუაშვილი ხელში ჩაეგდო.

— მარჯვე კაცია ჩეენი მდივანი, სად გაექცევი!

„დაგიდარაჯებს, შეგირჩევს დროსა,  
ავად რომ იყო ან გეძინოსა,  
გელარ მოიხმარ შვილსა და ძმასა  
და ცხვირში გადენს ნალველს და ძმარსა“, —

ღილინებდნენ ხალხის ეს საზიზლარი მტრები და თვალს ადევ-ნებდნენ, რაიონმას ყოფილი მესამე მდივანი როდის გააბამს მსხვერპლს მახეშიო.

ამ დროს რაიონმას პირველ მდივანად ჩაკაბერიამ დაუწყო მუ-შაობა.

ხალხის მტრება მესამე მდივანმა ჩაკაბერიას ყრუაშვილი გა-აცნო როგორც უქნარა, ზარმაცი, ბალასტი, საეჭვო. ჩაკაბერია,

თითქოს უდიდესი დამნაშავე აღმოაჩინაო, თავისუთლად აშენებულ- ქა და თავის თავს უთხრა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,  
მორჩი და მოისვენეო“.

ეპვეტეშ დაყენებულ ყრუაშვილს რაიკომის მდივანი ჩაკაბერია თვალყურს ადევნებდა. — შენ, ყმაშვილო, — მიმართა მან ერთხელ ყრუაშვილს, — იცი თუ არა, რომ რაიონში გასასყიდად შემოტა-ნილ სიმინდზე ბრუნვის გადასახადის დარიცხვა არ შეიძლება?

— პირველათ მესმის.

— წინადადებას გაძლევ გასასყიდ სიმინდს ბრუნვის გადასახა-დი არ დაარიცხო, რადგან გადასახადის დარიცხვა ფასის გაღილე-ბას იწვევს. თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებ, წაგაბრძანებ იქ.. წინადადება არ დაუსრულებია, მაგრამ ისედაც გასაგებია, რასაც ჰპირდებოდა.

ყრუაშვილმა წერილობითი ახსნა-განმარტება წარუდგინა რა-კომის მდივანს, რომ მისი ბრძანება უკანონოა და არ შეასრულებს.

— მაშასადამე, ყრუაშვილი უნდა მოვხსნათ, — მსჯელობენ რაიკომში. — მერე მის აღილზე ვინ წამოვაყენოთ? პაქაძის წა-მოყენება შეიძლება. მართალია, ფინანსების რევიზიამ მოხსნა ის სამსახურიდან, როცა რაისაფინანსო განყოფილებაში მუშაობდა, მაგრამ არა უშავს რა, — როგორც გიჭირდეს, ისე გილრდესო, — ნათქვამია.

ყრუაშვილმა უმცროსი თანამშრომლებისაგან შეიტყო, რომ ის მოხსნილია და პარტიის რიგებიდან გარიცხული. რა გაეწყობა, ძა-ლა აღმართსა ჰენავსო, გაიფიქრა, და ოქმის ამონაშერი მოითხოვა. — რა ამონაშერი, რის ამონაშერი, ზეპირად ხარ მოხსნილი, ოქმი არ დაწერილა და ამონაშერი რისი მოგცეო, — უპასუხა საქმეთა მმარ-თველმა იძოლიტე ნიქაბაძემ.

— გაჩერდი, ენა არ დასველო, მოხსნა თურმე შაქარივით ტკბი-ლია იმასთან შედარებით, რასაც შემდევ გიპირებენ, მაგრამ რომ არ იცი!


3 დეკემბერს, წყეულიც იყოს ის დღე ჩემთვის, — აცხადებს ამხ. ყრუაშვილი, — ჩემთან მილიციის უფროსი მოვიდა და დამაპატიმრა. შენ ტროცკისტი ხარ, ხალხის მტრები, ჩემთან წამოდი, შენი ადგილი მე ვიცი, საღაც არისო. გამიკვირდა, ნუთუ მართლა ტროც-კისტი ვარ-მეთქი!

ბევრი ვემუდარე, რა მხეცი ბრძანებულხარ, გამიშვი ხელი, ალ-ბათ თქვენ თვითონა ხართ ტროცკისტები-მეთქი, მაგრამ მგლის თავზე რომ სახარება იყითხო, რა გამოვა! რა არ ვიფიქრე! იქნებ შეეშალათ და სხვის მაგივრად დამაპატიმრეს-მეთქი. პირველად ისიც კი ვიფიქრე, ხუმრობენ და ჩქარა გამომიშვებენ-მეთქი, მაგ-რამ ორ თვეს ვიჯექი და აბა ორ თვეს ხუმრობა ვის გაუგონია:

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვმჯდარიყავ, საკ. კ. პ. (პ) ც. კ-ის იანვრის პლენუმს რომ ჩემთვის კარი არ გაელო.

გამოვედი და რა ვნახე! ჩაკაბერია მოუხსნიათ, რაიკომში მოკალა-თებული ხალხის მტრები მესამე მდივანი და მილიციის ის უკაცრა-ვადპასუხის უფროსი, რომელმაც მე დამაპატიმრა, თვითონ ყოფი-ლან ხალხის მტრები და მათთვის სათანადო ადგილი მიუჩენდათ. მაშ რა ეგონათ ქოფაკებს, განა სიმართლე დაიკარგებოდა? მე რომ მეუბნებოდნენ, შენ კუდი ხარ, ხალხის მტრების კუდი, თურმე თვითონ კუდიც ყოფილან და მეტიც.

ხალხის მტრებს ნომერი არც ამ შემთხვევაში გაუვიდათ.



ერთმანეთი გაიცნეს... შეიყვარეს.... და დაქორწინდნენ.  
ათ წელიწადს ცხოვრობდნენ ერთად.

შვილი არ ჰყავდათ.

ამ სიცარიელის შესავსებად ცოლმა კატა გაიჩინა.

ქმარი ერთხანს წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოალბო იგი ცოლის  
არგუმენტმა:

— შენ რომ სამსახურში ხარ, მე ვისთან გავერთო?

— სხვასთან გართობას, სჯობია კატასთან გაერთოს. — გა-  
ფიქრა ქმარმა და მანაც დაუწყო კატას ალერსი—ცოლის საპატივ-  
საცემოდ.

მაგრამ კატამ მაინც ვერ უშველა საქმეს.

კატით გართობამ ვერც ერთი ვერ დააკმაყოფილა და...

და ამ ნიაღაზე ჩამოვარდა ცოლქმარს შორის უსიამოვნება,  
რომელიც მალე განქორწინებამდის მივიდა.

მთელი ქონება შუაზე გამყვეს.

მშვიდობიანად მთავრდებოდა განშორება, რომ მოულოდნელად  
კატის საჟითხი წამოიჭრა მათ წინაშე.

ცოლი დარწმუნებული იყო, რომ ქმარი კატაზე არავითარ პრე-  
ტენზის არ განცხადებდა. ამიტომაც მან თამაშად დაავლო კა-  
ტას ხელი და მიჰყავდა თავის ახალ ბინაზე.

— კატა სად მიგყავს? — ჰკითხა ქმარმა.

— ჩემს ბინაზე.

— არა, ეს კატა ჩემია. აქ გაიზარდა და აქ უნდა დარჩეს! —  
შეუტია ქმარმა.

— როგორ თუ შენია!

— დიახ, ჩემია! ოჯახი გამინაღურე და ახლა ეს კატაც შენ  
გრძდა წაიყვანო?!?

— შენ რად გინდა კატა. ეს რა მამაკაცის საქმეა!

— მე უფრო მესაჭიროება კატა, ვიღრე შენ.

— რა მოსაზრებით?!

— იმ მოსაზრებით, რომ თაგვები აწი უფრო გაჩნდებიან ჩემს  
ბინაში, რადგან მე მთელი დღე სამსახურში ვიქნები.

— ეს ჩემი საქმე არ არის. თუნდაც სულ შეუჭამიხარ ვირ-  
თხებს, მე ეს არ მაღარდებს. კატა ჩემია და მე მიმყავს. ნებით თუ  
არ მომცემ, ძალით წავიყვნ.

— ვერ წაიყვან.

— სასამართლოში გიჩივლებ და, მოვიგებ.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა მათ შორის გაცხარებული და-  
ვა, რომ მეზობელი არ ჩარეოდა.

— კატა ორთავეს გეკუთვნის. საკვირველია, ერთმანეთს ადვი-  
ლად გაეყარენით, ხოლო კატას კი არ ეყრებით. ნუ თუ კატა უფ-  
რო მეტად გიყვართ, ვიდრე ერთმანეთი გიყვარდათ? სირცევილია,  
თქვენი ასეთო საქციელი!

— ჯინაზე, თორემ მართლა უყვარს, ვვონია? — თქვა ქმარმა.

— ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად მიყვარს, ვიღრე შენ მიყ-  
ვარდი.

ცოლის ამ დაკინვაზე ქმარი აენთო, არ იცოდა რა ექნა. მაგრამ  
მეზობელმა შეთანხმების ფორმულა გამონახა:

— ნუ დავობთ. ერთ კვირას ერთთან იყოს კატა, მეორე კვი-  
რას—მეორესთან.

— ერთი კვირის შემდეგ რომ არ დამიბრუნოს? — იკითხა  
ცოლმა.

— ხელწერილი ჩამოართვი.—უთხრა მეზობელმა.

მართლაც დაიწერა ასეთი ხელწერილი: „...მე—ანდრო მაღალაძე  
ვალდებული ვარ ერთი კვირის შემდეგ ჩაგაბარო ჩემ ყოფილ  
ცოლს ლამარა ჯეირანაძეს კატა“. ხელწერილზე, რა თქმა უნდა,  
იყო ხელისმოწერა და სხ.

ერთი კვირის შემდეგ ვაღა გაუვიდა ხელწერილს. ქალი გულის  
ფანცეალით ელოდა ყოფილი ქმრისაგან კატას.

კიდევ გაეხარდა, როცა ნაცნობმა მეეზოვემ მას კოლოფი მიუ-  
ტანა და უთხრა:

— ანდრომ გამოვიგზავნათ, შიგ კატა არის. — და მეეზოვე მა-  
შინვე საჩქაროდ, ყუთის გახსნამდის უკან გაბრუნდა.

— ჩემი ფისი, ჩემი მშვენიერი... აღტაცებით ამბობდა ქალი და  
ხსნიდა ყუთს. გახსნისთანავე ჩაიხუტა და ჩაკოცა. შემდეგ ხელში  
შეატრიალა და... და მის გავკირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რო-  
ცა დაშინებულმა კატამ სიბრაზისაგან თავისი ბასრი ბრჭყალებით  
სახე გუცკაწრა. შეხედა კატას და... ოი, საკვირველებავ! სხვა კატა  
იყო. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა: მამა, დედა, უფროსი და და  
უმცროსი მმა. ყუთში წერილი ნახეს: „გასრულებ ჩემს პირობას,  
გიგზავნი კატას. მართალია, ეს კატა სხვა კატაა, მაგრამ პირობაში  
მე ხომ არ მიწერია, რომ აუცილებლად ჩვენი კატა გამომეგზავნა  
შენთვის“. ასე სწერდა ყოფილი ქმარი.

მონახეს და წაიკითხეს ხელწერილი. მართლაც ეშმაკურად იყო  
ხელწერილი შედგენილი. ამან კიდევ უფრო გააბრაზა ესენი და  
დაიძრენ იერიშის მისატანად.

ანდრომ იცოდა, რომ ეს ასეც მოხდებოდა. ამიტომ მანაც გაა-  
მაგრა პოზიციები და სოფლიდან „გამოწერილ“ დედასა და ბებიას  
თითონ ჩაუდგა სათავეში.

ეზოში ატყდა აყალმაყალი.


ლამარამ დაავლო კატას ხელი და დააპირა გაქცევა, მაგრამ  
ანდრო წამოეწია და მანაც ჩაავლო ხელი კატას უკანა ფეხებში.  
კატის კნავილი მთელ ეზოს აზანზარებდა. მისი მოთქმა კიდევ უფ-  
რო გულშემზარული გახდა, როცა ქალსა და კაცს თავისიანები  
ჩასჭიდებოდნენ და თავისექნ ექამებოდნენ. საწყალი ცხოველი უეჭ-  
ველად შუაზე გაწყდებოდა, რომ არ გამოჩენილიყო მეეზოვე და  
მეზობლებსაც არ აღემალებინათ ხმა ამ სასაცილო, მაგრამ ამავე  
ტრის კატის გამო სავალალო ამბის წინააღმდეგ.

— რაკი თქვენ ვერ რიგდებით ერთმანეთში კატის გაყოფაზე,  
მე გავსჯი ბრძენი სოლომონივით, — სთქვა მეზობელმა და მეეზო-  
ვეს დაუძახა, რომ ცული მოეტანა.

მეეზოვე, ხელად გაჩნდა ცულით ხელში.

— გაბო, — მიმართა მან მეეზოვეს, — შუაზე გასჭერი ეს კატა,  
რომ ორთავე მხარეს ნახევარნახევარი ხვდეს.

# ცხოვრება და კონექტურა



გამომ ცული აღმართა და შეზობელს თვალი ჩაუქნია. ყველა  
მოელოდა, რომ ერთერთი რომელიმე მხარე გამოიჩენდა აღამიანურ  
სიბალულს, შეეცოდებოდა საწყალი ცხოველი და ხელს აიღებდა  
მასზე, რომ იგი ცოცხალი დარჩენილიყო. მაგრამ ასე არ მოხდა.

— არც მე და არც შენ. — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისინი და  
მთელი ძალლონით სწევდნენ თავისკენ კატას, რომელიც საწყლად  
კნაოდა. აივანზე გადმომდგარი ბავშვები სტიროდნენ. ისინი ხე-  
დავდნენ, რომ მათ საყვარელ ფისოს უსაშინელესი წამებით სიკვ-  
დილი მოელოდა.

მეეზოვემ ამართული ცული უკან გადაისროლა, უცბად ეცა  
ხელებში მოჩქუბრებს, კატა გამოსტაცა, ხელში შეატრიალა და ეზო-  
ში გაუშვა. აცრემლებულმა ბავშვებმა სიხარულისაგან ტაში დაპუ-  
რეს, შემოსიერ მეეზოვეს მაღლობის ნიშნად და დაშინებული კა-  
ტა სამკურნალოდ წაიყვანეს.

რაში შეცდნენ ბავშვები, ამაზე, დასკვნა მკითხველმა გამოი-  
ტანოს.

ავტორის აზრით კი, კატა არ იყო წასაყვანი სამკურნალოდ...

## გამოცემის გასტავლებელი

### ვაგზადევ ექსტერნატ და თათარიანატ

სუდენთებს უმაღლესი სკოლისათვის  
რუსულშიდ, მათმატიკაშიდ, გეომეტრიკაშიდ,  
ქათრულშიდ და ფრანციცულშიდ და აგრე-  
თვე ყველა საგნეფში.

ვახოვანევ ფონჩირქს ლაგაათ და კოსტათ.

მისამართი: ბრეს ნაზლავის ჩიხი № 215.

# „ს ჩ ა მ ჩ ე ნ ა“

სახელგამმა გამოსცა გ. ფლობერის „წიგნი „მაღამ ბოვანი“ სადაც შეკრძონია  
ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ერთი ფორმა არის ჩეკულია. გამომცემულია  
„ტექნიკა და შრომამ“ მ. ზანდუკელის „ლიტერატურის ისტორიაში“ სტატიაში  
კის რომელიმაც სახელმძღვანელოს ფორმა ჩააკერა.

აქ სახელგამის სტამბას მიემართავ  
ვთხოვ ბეჭითად რომ ხმა იღოს ყურად.  
ვეტყვი მაღლობას იმ შრომისათვის,  
მან რომ გასწია ჩემს სამსახურად.

მე ვიცი დღემდე მეცნიერთაგან  
გამოკვლევებში არვის უცდია,  
გამოერქვია გავლენა — ფლობერს  
ყაზბეგისაგან რომ განუცდია.

„საიდან სადა, წმინდაო საბა“  
სად ყაზბეგი და სად ფლობერიო, —  
თუმც იტყვის ბევრი, — მე და ჩემს საბუთს  
მაინც ვერავინ ვერ მოგვერიოს.

ეს იცით ყველამ, რომ სახელგამმა  
გამოსცა შარშან დიდი ლხენითა,  
გუსტავ ფლობერის „მაღამ ბოვარი“  
ნათარგმანები ფრანგულ ენიდან.

ამ თარგმანიდან ძლიერ აღვილად  
აღმოცხანე მქვლევარის თვალით,  
რომ ამ დიდ რომანს უხვად აჩნია  
ალ. ყაზბეგიდან გავლენის ჩვალი.

ასე გასინჯეთ — ბაძავს კი არა,  
თუნდაც მიიღეთ იგავ-არავად:  
ორასოთხმოცდამერვე გვერდიდან  
სულ „მამის მკვლელით“ ილაპარაკი.

ავტორს უცვლელად გადუტანია  
ნუნუს განცდები ფრანგულ ენაზე,  
ასე გამხდარა პლაგიატორი...  
ვფიქრობ, ამ ძლიერ აღმოჩენაზე,

მალე მომცემენ ღოქტორის ხარისხს,  
არ ჩაიდენენ უსამართლობას,  
რომ დამეხმარა მე ამ საკითხში,  
სტამბასაც ღირს, რომ ვუთხრა მაღლობა.

\* \* \*

არც „ტექნიკა და შრომა“ ჩამორჩა  
და სახელგამის გახდა ამფსონი:  
მ. ზანდუკელის „წიგნში ჩააკრა  
ოექვსმეტი გვერდი — საფინანსონი.


წიგნი ჯერ გითხრობს ქართველ მწერლებზე,  
გაუტაციხარ აზრით სავსებით.  
შემდეგ კი უცებ — „სასოფლო საბჭო  
როგორ იხმაროს თავის სახსრები...“

შეკითხველს არ ახსოეს, რომ ამ პროფესორს  
ჯერ დაეწეროს შრომა კრედიტზე,  
ამიტომ გვიკვირს ასეთი რამე  
რატომ მიაქრეს მის წიგნს ზედიზედ?

რახი.

ნახ. დონისა.

ცაგერის სატყეოს ეზო ქოფაკი ძალებით არის საესე ყოველთვის.



— რაც ქვეყანაზე რევებია ყველა რომ მე დამიმტკიცონ ამ ძალების ხროვას მაინც არ დაფაგლეჯინებ თავს.

# მინარეალური სისველე

არდალიონ ალავერდაძეს დილიდანვე თავის ტკიფალი აჰყვა. ისე ეწევნებოდა, თითქოს ვიღაცას მისოვის ფიცრის ნაჭერი ჩაედოს თავში.

— რა თავი მტკიფა ეს ოხერი!

— თავა, თორემ შიგ ტვინის მადანია! — შენიშნა ცოლმა, რომელმაც წინა ღამით ტანზე თითონ გახადა არდალიონს, ვინაიდან ამ უკანასკნელს იმდენი გადაეკრა, რომ საკუთარი თავის საჭის მართვის თავი აღარ ჰქონდა.

— სად დალიე იმდენი? — ჩაცავდა ეფროსინე. — შე უბედურო, ყოველდღე უნდა სვა? არ გახსოვს, იმ დღეს ახალი კბილი რომ მიათხეს?

როგორ არ ახსოვდა მურზაყანს! ახლად ჩადგმული კბილის მაყარიჩი გადაიხადა და ისე საფუძვლიანად, რომ იმ კბილის ამოვარდნა მხოლოდ მეორე დღეს შეამჩნია.

კიდევ ბევრი უსიამოვნო ამბავი მოისმინა არდალიონმა თავისი საყვარელი მეუღლასაგან და რაკი ველარ გაუძლო, ორიოდე ჭიქა არაყი გადაპკრა და შინილან გამოვიდა.

სწორედ ბაზრის ახლოს წუხანდელ თანამესუფრებს შეხვდა. გაიმართა მოკლე თათბირი, რის შედეგად ყველანი იმ დასკვნამდე მიყიდნენ, რომ მედიცინის, სტომატოლოგიის, კლიმატოლოგიის, თერაპიის, ფიზიკისა და ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესების თვალ-საზრისით დიდებული იქნებოდა ხაში ნივრით და კახური არყოთ.

— ხაში ნიერით! — წამოიძახა არდალიონმა. — იცით თქვენ, რა არის ნივრიანი ხაში არყოთ? წაიკითხეთ ევდუკი ტიკჭორაძის თხზულებათა მესამე ტომის მესამას ფურცელი და იქ ნახავთ: „ვაჭმევ ძესა ჩემსა აბრაამიასას ხაშსა ნერინსა და ვასმევ არაყასა ჭავისა...“ ხაში და არაყი — ეს ხომ ცხოვრების კვინტენსეცია! წამოიდით, ნულარ ვაგვიანებთ!..

შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის გაშევა ამ ურყევი არგუმენტებისათვის. ნივრიანი ხაში და ჭავის არაყა ხელად გაჩნდა სუფრაზე. რამდენი დალიეს არაყი ან შემდეგ რა ფერის ღვინო სვეს, ეს არ ახსოვს არდალიონს. ეს იცის მხოლოდ, რომ ბნელოდა, როცა სახლში მივიდა და მაშინვე დააწვინეს.

წევს ნაბახუსევი არდალიონი და ყელგამშრალს წყალი სწყურია. სწყურია, ვითარცა მექარანეს ცხელ უდაბნოში. ჩუმად დგება, იცვამს და ბორჯომის მინერალური წყალის მაღაზიისაკენ მადის.

— რა მშვენიერება! — ამბობს ხახაგამშრალი არდალიონი, როცა გაზიანი წყალის შაღრევანს ხედავს. მიდის და სვამს. კადევ სვამს. და ისევ სვამს. სვამს და სვამს. სვამს და სვამს.

„ღვინო? არაყი? ამასთან ღმერთმა შეარცხვინოს...“ ბუტბუტებს იგი.

დაწყნარდა. გამოვიდა და ტრამვაის ვაგონში ჩაჯდა. მაგრამ ისევ მოსწყურდა. ილბად ხაშის შემდეგ თევზიც სჭამა... ჩამოხტეს? ეზარება.

— თქვენ, ამხანავო, ხომ არ გწყურიათ? — თავაზიანად ეკითხება მას კონდუქტორი.

— მე? როგორ არა!.. ვიხრიობი წყურვილით!..

— ინგებთ! — ალერსით ეუბნება კონდუქტორი და ლიმონათით სავსე ბოთლის აწვდის.

არდალიონმა თეალის დახამხამებაში დასცალა ბოთლი, მადლობა გადაიხადა და ჩამოხტეა.

ფეხით მიღის არდალიონი. მიღის და ისევ სწყურია. „რა უბედურებაა! მარილი ხომ არ მიჰამია გუშინ?“ — ფაქრობს იგი და იტანჯება. მასთან მიღის მორიგე მილიციელა:

— თქვენ, პატივცემულო მოქალაქევ, სახეზე გეტყობათ, გწყურიათ. მართალაა? მართალია... — ხრიალებს არდალიონი.

თავაზიანი მიღმუშავი ჩანთიდან იღებს არაჩეულებრივ სიტრონს (არტელი „სუმერი“) და აწვდის მოწყურებულ არტალოონს ზომებიც დაუყოვნებლივ სცლას ბოთლს.

მცირე მანძილი გაიარა. ტაქსი დაუძახა და ჩაჯდა. ჩაჯდა თუ არა, ისევ მოსწყურდა.

— უკაცრავედ... შეაჩერეთ... მწყურია...

— გწყურიათ? მერე და ვერ იტყვით? — უპასუხებს ალერსიანი შოთერი და კაბინადან აწვდის შესანიშნავ „საირმეს“. — მიირთვით, თირქმლებსაც ძალიან რგებს.

„საირმე“ რაკრაკით ჩადის არდალიონის ყელში.

— ვენაცვალე ირმებს, რომ ეს საირმე გამოუგონიათ! — ამბობს ყელგასველებული არდალიონი. შოთერს ისტუმრებს და მატარებელში ჯდება, რომ პირდაპირ საირმეში წავიდეს და ირმებთან იქეიფოს საირმის წყალით.

ვაგონში ისე მოსწყურდა არდალიონს, რომ რევიზორს პასუხიც ვერ გასცა.

— თქვენი ბილეთი!

— სხესხრრრრრ....

— ბილეთი! თქვენ გეუბნებით!

— სხესხრრრრრ....

— არა გაქვთ? თავს იკატუნებთ? გადაიხადეთ ჯარიმა!

— სხესხსხრრრრრრრრ....

— კაცი იხრჩობა, რა ღროს ბილეთია! — ჩაერია გამყოლო.

— წყალი მოატა, წყალი! — გაიძახის რევიზორიც.

„ბორჯომი იყოს, ან საირმე“... სურს სოქვას არდალიონმა, მაგრამ ყელი არ მოქმედობს.

— დალიეთ, ძვირფასო, — მიაწოდა მას „ზვარეთით“ სავსე გრაფინი გამყოლმა.

არდალიონს შეპატიუება აღია ესაჭიროებოდა:

„ასწია, გადაწურა და დასცალა“... ჩაულექსა არდალიონს მისი სიმით აღტაცებულმა რევიზორმა. — აბა, ახლა მოიტა ბილეთი. ყოჩალ! გქონია!

ქუთაისში არც კი იყო ჩასული, რომ ისევ მოსწყურდა. „სახაშეში ასწია თუ ბლზევანს?“ უკვირს არდალიონს. ბუფეტში შედის, საგაყავი თუ ბლზევანს?“ უკვირს არდალიონს. ბუფეტში შედის, სამიოდე ბოთლს სვამს, მოხალტურე მანქანაში ჯდება და საირმისაკენ მიდის.

აჯამეთის ტყესთან (დალახვროს ეშმაქა!) წყარო შეხვდათ. ხელახლა მოწყურებული არდალიონი დაწატავა წყაროს და სვამს და სვამს... ხოლო ამის შემდეგ იქვე ტყეში შეუხვია...

კარის ბრახუნმა გმოაღვაძა არდალიონი.

— არა, როგორ ფიქრობთ თქვენ? ქვედა სართულში რომ ცცხოვრობთ ხალხი არა ვართ? — ყვიროდა გაბრაზებული მდგმური. — იატაზე წყალს რომ ღვირით ამ ალიონზე, ხომ იცით, რომ იატაზი არ იჭერს და მეორე სართულზე ჩამოდის ჩემს თოახში? მოეღება თუ არა ბოთლ ამ თავხედობას? მე თქვენ გიჩვენებთ! სახლის სამეულში გიჩივლებთ....

არდალიონს ენა არ ამოულია. არც შეეძლო: ყელი ყავარივით ჰექნდა გამხმარი. სიზმარში ნასვამ წყალს მისოვის სრულებით არ უშეველია. ამას სხვა გაჭირვებაც ერთვოდა და კაცი სცურავდა როგორც ჭირობის აფირის იფლში, აგრეთვე ერთვგარ „მინერალურ“ წყალშიაც. მის საწოლთან, გარდა ქვედა მდგმურისა, იდგა ცოცხალი ტარმოლერებული ეფროსინე და ერთობ მრისხანე სახით საბანს ხდიდა ყელგამშრალ, მაგრამ საერთოდ კა ძალზე დასველებულ არდალიონს.

ეს იყო პარასკევს. იმ დღის შემდეგ მურზაყანს აღკოგოლიანი სასმელი აღარ დაულევა (შაბათამდე).

ჯერ არც კი გათენებულიყო კარგად, როცა ფოთის მატარებელი აბაშის სადგურში გაჩერდა. მგზავრები უხასიათოდ გამოვიდნენ თბილი ვაგონებიდან. ყინავს. მივაშურეთ ვაგზალს. დარბაზში ბუფეტია. უხვალაა ყვავილები. კარგია ზამთარში ყვავილები. მაგრამ ჩერენის აზრით, არც ღუმელია ზედმეტი...

მებუფეტები ბოლიშს იხდის.

— ნახშირს არ იძლევიან... ჩვენც გვიცა... სამაგიეროდ ცხელი ჩაი ვაჭვს...

ამ დროს მართლაც შემოიტანეს უზარმაზარი სამოვარი. ორთქლი ქშენით ამოდიოდა სამოვრილან და გაყინული იქვე ეცემოდა იატაქზე სეტყვად. მგზავრები გაახარა ჩაიმ. მაგრამ ერთმა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება: ყველა სემდა ჩაის. მხოლოდ ჩაის. ბუფეტში კი ეწყო მშვენიერი სულგუნი, წითლად შებრაწული გოჭი, ღორის მოხარული ხორცი.

— უკაცრავად, — ვკითხე ოფიციანტს, — დველი ხომ არ არის გოჭი?

— როგორ გეკადრებათ, ახალია!

— გაშ რატომ არავინ სჭამს?

— მწუთხედა...

— მარილი მოგივიდათ მეტი?

— არა, ფასები...

გადავხედე ფასებს და დარბაზში სითბომურბათ იმატა. სულგუნი კილო — 20 მან., გოჭი — 33 მან., ღორის ხორცი — 27 მან.

— სულგუნი თბილისში 16 მანეთია კილო, — ვუხსნი მებუფეტებს.

— აბაში გაუსწრო თბილისს... — იცინიან მგზავრები.

### საჩივრის ზიზი

ახალი ფოთი ღამაზია. არ ვინდა შოსტილდე ნარინჯოვან ბალებით შემკულ ქალაქი, მაგრამ მიელინება დასრულდა და მიიჩქარიალაქის სადგურისაკენ.

— რბილი ვაგონის ბილეთები გაიყიდა. ვაგზალს აქვს ექვსი ადგილი. აღრე მიღით, იშოვნით...

კარგ რჩევას კარგი ბილეთი სჯობს, მაგრამ რაკი ბილეთი აღარ არის, რჩევა მივიღე. ჯერ ფოთის ვაგზალში სალარო ღია არ იყო, როცა მის წინ ავიტუზე. ბოლოს სალაროც გაიღო.

— რბილი? ექვსი კი არა, სამი ადგილი გვაქვს და ისიც გავყიდეთ.

— რიგში პირველი მე ვარ. დახურულ სალაროში ხომ არ ვაიყიდებოდა ბილეთები?!?

— ქალაქიდან დაგვირექს, დაწესებულებას მივეცით.

— უკაცრო! მე მინდა ვიჩივლო!

— მიმართეთ სადგურის უფროსს.

მივმართე. ამხ. პვიცარიძე ღრმად იყო გართული რაღაც ფართო უწყისების გასინჯვით. კარგი ხნის ღორის მოდინის შემდეგ შემაჩინია და ღალაზილი თავი ნელა ასწია ზევით.



მენვევიკი ემიზრანტი — სწერენ: კოლმეურნეობა მილიონერი გახდაო, უკვირთ? ჩვენს დროს ყველა მოქალაქე მილიარდე რი იყო!

— საჩივრელად მოვედი: დახურულ სალაროში რბილი ვაგონის ყველა ბილეთი გაიყიდა.

— ჩემი განკარგულებით! ჩვენი თანამშრომლები მიღიან მივლინებაში და მათ მივცი.

— მე უკაცროდ მიმაჩნია თქვენი მოქმედება... საჩივრის წიგნი მომეტით.

— მიჩივლეთ! წიგნი სალაროშია...

მაგრამ სალაროში საჩივრის წიგნი არ აღმოჩნდა. მოლარის სიტყვით, საჩივრის წიგნს თვით სადგურის უფროსი ინახავს. უკან დაბრუნებისას არც სადგურის უფროსი აღმოჩნდა.

ახლა როგორ მოვიქცე არ ვიცი: ვიჩივლო, თუ თავი დაგანგზო?

### ღიღუბის სადგურები

— რა ღის ბილეთი სადგურ გრაკალამდე?

— ფასი ბილეთზე აწერია, ნახე და გაიგებ!

— ბილეთზე 1 გ. 30 კ. აწერია.

— მაშასადამე — 1 გ. 30 კ. ღირებულა.

— თქვენ კი 1 გ. 50 კ. გადამახდევინეთ; რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ... მე რაც გადაგახდევინე ალბათ კანონშიც ის სწერია. მე ღოლეს გრაკალის 40 ბილეთი გავყიდე. ყველას 1 გ. 50 კ. გადავახდევინე. შენ რა წითელი კოჭი გამოხვედი, რომ ნაელებად გადარჩე, ჰავა?

# ნიანგელის

ახა აშგავი „საქოლეგთის“ და ესტრადის მსახიობთა მიერ გაუზრიანდეთა  
გაცურების გაზ. „გიუგელის“ არსებო. გის 10 წლის აღსანიშნავად 11 მარტს  
მოწყობილ საიუგილეო საღამოზე.



შეგობრებო, გიგზავნით  
ერთ გემრიელ საკბილოს,  
რომ ნიანგმა ჩანგალი  
დასოს და აკიფლოს.

არის არამიანი  
ვინც წვრილმანზე ხალტურობს,  
ხალტურობს და ხალტურის  
დიდ „მაშტაბებს“ ნატრულობს.

თქვენც ბევრს იცნობთ ისეთებს  
ამ გზით „წინ“ რომ მიღიან,  
მაგრამ მათი ხალტურა  
„საქფილეგთან“ მითია.

იგი ხდება ხალტურელთ  
იდეალი, ხატება,  
რადგან მისი გაშტაბი  
ყველას აღემატება.

დაამყარა ამ დარგში  
რეკორდები ახალი,  
ვინც იფიქრებს გასწრებას  
უნდა იყოს „ნახალი“.

ბევრგან ენახეთ ესტრადის  
გეგმა ჩანაფუშები,  
ხმაშეწყობით საქფილეგთს  
მიტომ „გამკობთ“ მუშები.

ამ დღეებში, ნიანგო,  
ფაქტი იყო ასეთი:  
ათ წლის სტაჟის შეიქნა  
„ბიუგელი“, — გაზეთი

და ტრამვაის მუშებმა  
ვოქვით; ეს საქმე საამო,  
აღვიშნოთ და გავმართოთ  
საზეიმო სალამო.

თაოსნობა ვიდისრეთ,  
არ ვყოფილეართ მხდალები,  
მიგაშურეთ „საქფილეგთს“,  
მოვიწვიეთ ძალები.

კანდელაკმა მოგვართა:  
„ძალებს გვთხოვთ? ბაშუსტაო.  
მხოლოდ საქმეს წინდაწინ  
ბუჩქუები უნდაო.

სალარაძე ტრისტა ლირს,  
ჯაფარიძე ღვესტიონ,  
სხვა ძალებსაც სჭირდებათ  
ღვეტისაჩხე მეტო.

დავულაგეთ ფულები...  
არ დავზოგეთ მელანი  
და სტუმრები კონცერტზე  
მოვიწვიეთ ყველანი.

პროგრამში, სულოვან,  
ვინ გსურდა რომ არ იყო,  
მომღერალი, მუტრიბი,  
ვანიკო თუ დარიკო.

იყო უგარელაშვილი,  
სალარაძე, გუკინა,  
ჯაფარიძე, მანტუავა,  
მახარობლიძე ნინა.

სამი კაჭკაჭიშვილი,  
მოცეკვავე ჩახავა,  
ჭიჭინაძე და სხვანიც  
სანატრია სანახავად,

მაგრამ როგორც მტკვრის წყალი,  
აღმა ჯერ არ დენილა,  
ისე ერთი მათგანიც  
იქ არ გამოჩენილა!

შევამოკლეთ სიტყვები,  
მილოცვები, ლექცია,  
რომ მთელი ყურადღება  
კონცერტზე მიგვექცია.

„საქფილეგთის“ ხალტურავ,  
რად ხარ გულის მზარავი,

მოველოდით არტისტები  
არ გამოჩნდა არავინ...  
ალბათ იმ დროს ჩვენსავით  
მათ კვლავ ბევრგან ელოდნენ  
„უკურთხებდენ“ საქფილეგთს,  
მაგრამ თავს ვერ შველოდნენ.

ალბათ სხვებსაც წინდაწინ  
კანდელაკმა ფულები,  
ააძრო და დატოვა  
ჩვენებრ ნაამპულები...

საქფილეგთელ „რაინდებს“  
მრავალი ემდურება,  
რადგან უჩინს „ტინტრავად“  
ხალხის გაბითურება.

და ჩვენც ვუძლვით საქფილეგთს  
ნიანგს, როგორც საკბილოს,  
რომ მან ბასრი ჩანგალი  
დასოს და აკიფლოს.


მომართვას ხელს აწერენ გაზ. „ბიუგელის“ 10  
წლის სიუბილეო საღამოზე დამსწრე მუშები.

მომართვას მპოვნელი და ლექსად გარდამწერლ  
8 — ზა.

## ღვინის საჭი უეჯიბი და ომია და გუავდება მოუზელად ცომია

თვალივის (დუშეთის რაიონი) ფურნე პურის გამყიდველმა აბრამ ყარაბა  
ზაშვილმა სამიერნოდ გადაქცია.

ნახ. დონიხა.



„წმინდა აბრამის“ დამე თვალივის ფურნეში.

# კურუტორის განცხვილება

ლევან სეფისკვერაძემ ტალახი დაყენა ერთერთ გამომცემლობის გარებოან. ხან იხვეწებოდა, ხან იმუქრებოდა, მაგრამ არ იქნა და არა, მისი ხელნაწერები ვერ მიაღებია დასაბეჭდათ.

ვინც წაიკითხა ლევანის ნაწარმოები, ყველამ მოიწონა; ოვით გამომცემლობის ერთმა რედაქტორმაც კი დადებითად შეაფასა, მაგრამ როცა დაბეჭდვაზე მიღება საქმე, ყველამ უარი თქვა.

— სტამბას არ სცალია, ქალალი არ იშოვება, ასოთამწყობი ავად გახდა, კორექტორი არ გვყავს... — და მრავალი მიზეზები მოუყვანს ლევანს.

ერთმა თანამშრომელთაგანმა გაბედა ერთხელ სწორი პასუხის გაცემა.

— დაანებე ბიძია თავი, არ ვარგა მაგი შენი ნაჯლაბნი, ტყვა-ლა ნურავის აწუხებ, — უთხრა მან ლევანს პირში, მაგრამ ნეტავ არ ეთქვა, სულ მიცვალებული მშობლების ძვლები ამოუყარა საფლავილან უბედურს.

— რაო?... მაშ მე სულელი ვყოფილვარ, მაშ მე არაფერი მცოდნია, მაშ მე პოეტი არა ვყოფილვარ! გამიშვით!... — კიდევ ვარგი, ამ დროს იქ სხვებიც დაესწრნენ, თორემ მიბევავდა სიმართლის მთქმელ კაცს ლევანი.

ძნელი მოსარჩენია კაცი, როცა მას ორმოცდაათი წლის შემდეგ მწერლობის ავადმყოფობა გაუწნდება, მეტადრე ისეთი ადამიანი, რომელსაც სხვა საქმე არაფერი აქვს, თან პენსიაც ეძლევა. ამოიდებს იღლიაში ხელნაწერით სავსე რვეულს და დაის. აქებს, აღიდებს თავის შემოქმედებას, ქუჩაში თუ შეგხვდა, საშველს არ მოგცეს, სანამ არ წაგავითხებს, ან თვითონ არ მოგიყვება მისი რომანის ან პოემის შინაარსს არ გაგიშვებს. გამომცემლობებს ხომ ჩაკეტილი უნდა ჰქონდეს კარები! საქალაქო კომიტეტი, პროფსაპჭო და სხვა ორგანიზაციები ხომ სულ აღებული აქვს: ლაპარაკობი, გამომცემლობების მოუქნელობაზე, იქ გამეფებულ ბიუროკრატიზმზე, რედაქტორების უფიცობაზე, ლიტერატურულ ძალების უყოლობაზე და ერთი სიტყვით, ისე დაასურათებს გამომცემლობებს და რედაქტორების მუშაობის უფარვისობას, რომ თმები ყალყზე ავდევებათ.

ასეთ ავადმყოფთაგანს ეკუთვნოდა სეფისკვერაძეც. არ იქნა და არა მისი მოცილება თავიდან.

დილით გამომცემლობაშია, შუადლისას ქალაქქომში, სალამს პროფსაპჭოში და მთელი დღეები ასე ატარებს იღლიაში აშორილ რვეულებს.

ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა გამომცემლობის დირექტორმა გამოართვა ხელიდან ხელნაწერები და ერთერთ რედაქტორს გადაუზავნა სარეცენზიოდ.

— ალარც ახლა მომშორდები? ხომ ხელავ გადავეცი რეცენზიისათვის, თუ წამიწერს, ვარგისა, გამოიცეს, მეც გამოვცემ, სხვა რაღა გინდა?! — უთხრა მან ლევანს და გავიდა. ლევანმა რედაქტორის გვარი ჩაიწერა და წავიდა.

— ტყვიას ვახლი შებლში ცუ-ღი რამე რომ დააწეროს! — დაი-მუქრა მან.

ერთი კვირის განმავლობაში კითხულობდა რედაქტორი ხელნაწერს, როგორც იქნა გაათავა და მეტად გაბრაზებულმა ამით, რომ ამდენი დრო დაკარგა — ხელი ნაწერს წაწერა — „უვარგისია“

მეორე დღეს მოვიდა სწორედ პასუხისათვის გამომცემლობის თანამშრომელი და ხელნაწერი მოითხოვა.

რედაქტორმა მოგზავნილს ხელნაწერები გადასცა.

— ეს რა წაგიწერიათ? — დააცერდა წარწერის თანამშრომელი.

— ის, რაც საჭირო იყო. — მიუგო რედაქტორმა.

— მერე იცით რას იზამს ახლა მაგის პატრონი? — და მოსულ-მა გაიღიმა, — მე კინალამ მომქლა ასეთი სიტყვისათვის, თქვენ კი არ ვიცი... ჩუ, მგონია მოდის კიდევაც. სწორედ მისი ხმა.

ამ დროს დერეფნიდან მართლა მოისმოდა ლევანის ხმა, ის ვილაცას ხმიმალლა ელაპარაკებოდა.

— ერთმაც კი გამიბედა ერთხელ ჩემი ნაწერების აუგი, მაგრამ უტირე დედის საფლავი! აბა, რა გონია ბოშო შენ...

— ხომ გითხარით, აი, ისაა, ჩემზე ლაპარაკობს, უნდა დავი-მალო სადმე, თორემ ვიცი ვერ გადავურჩები. — და აქეთ-იქით მიტრიალდა.

რედაქტორი მართლაც დაეჭვდა. — ვინ იცის რამდენი შეშლი-ლი დადის, ან კარგს რას უნდა მოელოდეს კაცი მაგის დამშერა-დან?! — გაიფიქრა მან და სწრაფად გამოსტაცა ხელიდან რეელები და წინ დაიღვა. „უვარგისია“, — გარკვევით აწერია ზედ, თუ ეს სიტყვები წაიკითხა ავტორმა, როგორც ამბობს გამომცემლობის თანამშრომელი, დიდი უბედურება დატრიალდება, წაშალოს ეს სიტყვები, — არც ის ვარგა, არც დროა მოფიქრების. საცაა შემოვა ავტორიც და... დაავლო ხელი რედაქტორმა საწერ-კალამს და სიტყვს „უვარგისია“ წინ ჩაუწერა „არც ისე“ და თვითონაც გაეხარდა ისე რომ გამოვიდა.

— ნესტორ კვირტაძე აქ ცხოვრობს? — შემოიმართა სახლში ამ დროს ლევანიც.

— მობრძანდით! — მიეგება ნესტორი.

— შენ ხარ რედაქტორი, აფხანიკო?

— დაახ, მე გახლავარ...

— კაი და პატიოსანი. ერთი ჩემი ნაწერების შესახებ უნდა გკითხო შენი აზრი. როგორ ფიქრობ, ხომ კარგია?

— ჩინებული გახლავთ, აი სწორედ ახლა წაიკითხა გაუწერე ჩემი აზრი ზედ. — აიღო და ხელნაწერი გაუწოდა.

— „არც ისე უვარგისია, რომ არ დაიბეჭდოს“ — დინჯად ამოიკითხა ლევანმა და რედაქტორს შეხედ.

— რავა, თქვა ვინმემ უვარგისიაო, თუ? რას ნიშნავს კაბახო ეს „არც ისე?“ ძალიანი კი გინდათ პავეტობას თავი დავანებო. მარა ვერ მოგართვით! — შეუყვირა ლევანმა, რედაქტორს წინ დაუდო ხელნაწერი, თვალები გადაუტრიალა და მიმართა — დაწერ ბიძია გარკვეულად!

„მეტი რა გზა არის, წაგიწერ, მაგრამ გამომცემლობას გავაურთხილებ“... — გაიფიქრა ფერგამგრატალმა რედაქტორმა და წაწერა:

„დიდებულია დაიბეჭდოს“

ლევანი კმაყოფილი წავიდა.

შეშინებული რედაქტორი დღე-ლამის განმავლობაში შემდეგს ფიქრობდა:

— ჩემი ქუჩის ბოლოს რომ მილიციელი დგას საგუშავოზე, ნეტაა რას გუშავობს! არ იქნება, რომ საგუშავო ჩემის გამომცემლობასთან გადმოიტანოს?


3. ოპოლი.



# ყვარელის სასამართლოსთან

ნახ. მ. ლებეშვილისა

ყვარელის სასამართლოს უწოდას წყალი ტეჭ-  
დგა, საბჭო ზომების მიღებას პირდება მოქალაქეებს,  
მაგრამ სინამდვილეში ყურადღებას მარც არ ტეჭება.



დამცელთა კოლეგის წევრი: — ამდენი ხანია გვაცურებს  
ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე და ცურვა როგორ ვერ ისწავლეთ,  
ამხანაგებო?

## ნაღვენის გამა-გამა

ნიანგო, შენის ჩანგლითა  
ჩამოგვიარე დაბებშიც, —  
ბევრია შენი საქბილო  
ამ ჩვენს აგარაკ წალვერში.

პირველად შეხველ ინკოში,  
ფასების გასაცნობადა,  
და შიგ მოვაჭრე აკაის  
ყურებს აუწევ ნობითად.

რომ არ გაბედოს საქონლის  
ფასების დამახინჯება,

არც სხვა უკადრი საქმენი  
რაზეც დღეს იგი ირჯება.

ეპოს წერტის თვალი შეავლე,  
იქვეა ხილის ყურშია,  
მანეთინ პურს ყიდიან  
მანეთ და ორშაურშია.

სადგურის ქუჩა ხომ იცი,  
ტალაზში არის ჩაფლული,  
არც სწმენდენ, არცა ხვეტავე  
გავიდა ხუთი ზაუხული.

უჩინარი.

## წალენჯის სასადილო

წალენჯის სასადილო  
სჯობია, რომ სულ არ იყოს:  
ძოლლი, ბატი, კატა, ლორი,  
რა გინდა, რომ შიგ არ იყო.

ფასებია ერთობ ღიღი,  
ქერძები კი მცტად მცირე, —  
სულ ში ბუზი სშირად გვედება,  
ბორშები ხოჭო, ოფშე მწვირე.

სასადილოს „დირექტორი“  
არის გვიჯა ხობელია,  
ნიანგლიან, შენი ჩანგლით  
ჩვენს სოფელში მოგლიან...  
მოდი 85.8



## სამთხვევია

ჭალაჭქის საბჭოს აპარატს  
ჭუთათელადე განაგებს;  
არც ახალს რამეს აკეთებს  
არც იცავს ძევლად ანაგებს.

## შეგვეველები

მექონეთა შესახვევ № 4-ში მცოვ-  
რებს სასტემატურად ავიწროვებს გაუს.  
წორებელი ხულიგნი არმენაკა მიუარ-  
ტიჩიანი. რომელიც მეზობლებს ბინებ-  
ზე უცარდება და მინგბს უმტვრებს.

ბევრჯერ უჩივლეთ ხულიგანს.  
თხოვნაც მივეცით ორია,

## ლალე

ჟამენად სამო წაქვის (ორჯონიქიძის რა-  
ოონი) სს არტელის თაემჯდომარის პავლე  
ნაჩინისათვის.

წვენმა პავლე თაემჯდომარე  
ბევრი ღვინო შესვა,  
დაავიწყდა იმას კრება,  
დაავიწყდა თესვა.  
— სულ ერთია, — ამბობს პავლე:  
გამომცვლიან მალე,  
კრებისათვის თუ არ მეცალა,  
სმისოვის მოვიცალე...  
ლალე, ლალე,  
შენ კი გენაცვალე,  
არტელის საკითხები კი  
გავარჩიოთ ხელე:  
თესვა რა ჩემი საქმეა,  
ბეჭი მომითალე.

ლო.

## ფერილი ნავთლულიან

ნავთლულის ფეხსაცელების ახალ ფაბრიკის მო-  
არაგების უფროსი სიმონ ტერელაშვილი საკუთარ  
თავზე მეტი ფიქრობს, გილრე მუშების კვების გა-  
უმჯობესებაზე.

მოდი, გვესტუმრე ნიანგო,  
თუ გინდა საჩუქარია!  
უკუ დაბრუნდე მცინარი,  
ვერ გეწეოდეს ქარია.

სახრავი ისე მოხვავდეს  
ვერ სძლევდეს ჩანგლის წვერი...  
აქ ნახავ ურიცხვ საჩივრებს  
მუშებს რაც დაუწერია.  
არ არის კოვზი, თეფშები,  
ცუდი კეთდება სადილი;

არც მილიცია გვეითხულობს  
არც უბნის პროკურორია...

## გამოუღვიძევაში მძინარე

სადგურ თორიდან მორიგე ნანეაშვი-  
ლი მოსახლეს რა სამსახურის ასრულების  
დროს სისტემატიური ძილისთვის. ნანეა-  
შვილი ეხლა აირუმის სადგურის მო-  
რიგეა და მუშაობის დროს აქცე სიძინავს.

იორიდან „ფხიზელი“  
მოიშორეს თავიდან,  
ძილის გასაგრძელებლად  
აირუმში ჩავიდა.

ძნელოლო

## უსტარი ახალდაბილან

(ბორჯომის რაიონი)

როცა მიხვალ კლიტე ადევს,  
სამკითხველოს ჭიან კარებს.  
უცდის ხალხი, იქნებ გამგე  
თან ამოჰვეს ახალ მოვარეს.

ყველაფერი გახლავთ შიგნით,  
წასაკითხი წიგნის მეტი;  
დამტვრეული ჭადრაკი და  
ბილიარდის ძეველი „გეტი“...

კლუბის საქმეს ნულარ მკითხავთ,  
სდგას უძრავათ, ვით მყინვარი.  
ფოქსტროტსა და ტანგოს სწავლობს  
შეიგ, ჯიშიან თაგვეთა ჯარი.

თვეში ერთხელ გვიჩვენებენ  
მოძველებულ კინო-სურათს,  
მაგრამ კლუბში ყინვა მოგკლავს,  
ტანს საბანი თუ არ გხურავს.

ბაული.

## „რა იჩვებოდა“

ბორჯომის სატყეო ტექნიკუმს შეშა არა ცეცხა-  
ოუდიტორიებში საშინელი სიცივეა.

რა იქნებოდა ეს მაშინ,  
რა იქნებოდა,  
თითო კლასზე დირექტორი  
რომ გვყოლებოდა.

ყოველ დღეს კაბინეტები  
ხომ გათბებოდა,

დირექტორთა ლექციებიც  
მაშინ, ძმებო და,

ამ თბილ-თბილ კაბინეტებში  
ჩატარდებოდა,

ტექნიკუმშიც სითბო-სიტკბო  
დამყარდებოდა...

ახლა კი... ახლა ჭირიმეთ,  
ძმებო, დებო და

თქვენ აგშორდეთ, მთელ ზამთარში  
რაც აქ ხდებოდა:

აუდიტორიები ხომ  
არსად თბებოდა,

ცივს პარტებზე წერა, კითხვა  
არ ხერხდებოდა,

ლექტორნი კარნახობლენ  
დრო ძვირდებოდა,

ჩვენ კი წერა ლექციების  
გვიჭირდებოდა...

ერთადერთი კაბინეტი  
თუ ხურდებოდა,

დირექტორის ლექციებიც  
მუნ ტარდებოდა...

მთა გაჭალარდა და ტყე  
იხოშრებოდა,

კლასებში რომ სტუდენტობა  
ითოშებოდა...

დავრჩიო, ამ წელს უსწავლელად,  
უშეშებოდა,

დირექტორი ხარაძე კი არ  
გვეშვებოდა:

ჩვენ ვეწყვეთ საყინულები,  
თვითონ თბებოდა...

საღმე მთაშიც არ გეგონოთ,  
ტყეში ხდებოდა,

ბორჯომი ტყეა, იქ შეშაც  
გვეშვებოდა,

ძვლები გვეყინებოდა, თავს  
გვეთოვებოდა,

სული ტანს არ გაძერა, თორებ  
ეთხოვებოდა...

შაშ, სატყეო ტექნიკუმში  
ეს რად ხდებოდა?

საკითხს ვინე ჯეროვნად  
რომ შეხებოდა,

რა იქნებოდა ეს მაშინ,  
რა იქნებოდა?!

ენუქა

გ. ლურზული.



- არაუით თავს რატომ იბან?
- მითხრეს, კარგი თმა ამოვაო.
- რას ამბობ, უგ რომ მართალი იყოს, ჩემს კუჭში ახლა აფე-  
მეთის ტკეები უნდა იყოს ამოსული!

ლობს ღმერთი რას დააკლებს... ვენაცალე ჩემის  
რაიგანათლების განყოფილების გამგეს, რომ მთა  
ცელქ გოგონას, ასეთ ცელჭობისათვის თაუზე წელს  
მომიცაცუნებდა და მართლაც ასე მოიქცა.

ახლა გაკვეთილები? მეორუნა გადატილს — უსლ  
აღარ გაძლივ, ან რა საჭიროა... მეტყველებულ შე  
სიმკაცრესთან ერთად ლმობიერებაც მახასიათებს...  
და განა ამ ზამთარში ცოდნი არ არიან ბავშვები  
დიდხანს იყონ სკოლაში?! დევ თითონაც დაისვერონ  
და მეც დამასვერონ...

არც რაი-განყოფილება და არც ინსტრუქტორი  
ბოჭორიშვილი ამაზედ არაფერს მეუბნება და მეც  
რა მენაღველება...

ახლა საზოგადოებრივი დატვირთვები! ჩამაციგ-  
დებან ხოლმე, რომ რაიმეში ჩამაბან, მაგრამ ვერ  
მივართვი ჩადებული ბადრიჯანი... რომ გავიდგამ  
ოჩან ხარისით ფეხს... ძვრას ვერ მიზამენ... ან და  
რა დროს საზოგადოებრივ მუშაობაზეა ლპარაკი,  
როცა გულში ვულკანი მოხვარევალებს და ლიმის  
არის ამოხეთქოს და თერჯოლის მიდამოები მთლად  
გადაბუგოს!

ყური მოკარი, მოწინავე მასწავლებლების სიახ  
აყენებს რაიგანათლების განყოფილება, რომ ჯილ-  
დოებზე წარადგინოს...

დედი-მისი შეილია და ნუ შემიტანს სიაში... შა-  
შინ დემონსტრატიულად მივარიგებ თერჯოლის  
დობილოებს და თუ ბიჭები არიან დაიძალონ და  
მონახონ ჩემისთანა მასწავლებელი...

გაშ ასე ჩემო დაიკო... შენს მეტს ვის გაუმხელ  
ამ საიდუმლოებას. დევ შენ იცოდე ჩემი გულშ  
მქეფარება და იყო დუმილით საცე, ვითარც  
სფინქსი ბაბილონისა.

გკონი მრავალს შენი საყვარელი და ნინიკ  
წერილი რცდაქციას გადასცა ამხ. ჭიჭიჭომ.

## რაც დაზამთრდა...

(ითრმულანლო, გურჯაანის  
რაიონი)

ჯანპუქეტი გვაქვს სანაქებო,  
ეშოგება ყველაფერი,  
საბკომ შეშა ვერ უშოვნა  
ერთი ფინჩხა, ერთი ლერი,



ვის უშველის, ვის განკურნავს  
აბა, პუნქტი ამაღარი,  
როს ექიმი რაც დაზამთრდა  
სურდო-წველით აკად არი!

(ხოლ. ახალი თერჯოლი, ჩიხარის რაიონი).

### ჩიხო საჟვარელო დაიკო!

შე არ ამიხდა გოგო შენი სიტყვები და ქე არ  
ჰეჭესცურე სიყვარულის ჩანჩქერში?! როგორც აფრი-  
კის ლომი, ისე დავშლიგინობ ხან აღმა და ხან დაღ-  
შა... სადღა მახსოვს მასწავლებლობა... ან და რა მე-  
შესწავლებლება, როცა ქონის სანთელივით ჩამოვ-  
დნი ამოდენა ლოდინოთ...

აზეირთებულ გრძნობათა ტალღები ზღაპრულ  
სამოსში მახველეს და დღედაღამ განუწყვეტილივ  
მინდა ვიოცნებო ჩემს გადამხრაველ დუგლასზე...  
ჰაგრამ ეხ!.. ჩემი ყივილი აჩება „ხმა მღალადებლისა  
უდაბნოსა შინა“... ის ეხლა ზესტაფონის გოგონებში  
უმეტოოდ გავარდობს და მე კი ობლად გარიყუ-  
ლი თერჯოლის სკოლაში უნდა ამომხდეს მრავალ  
ტანჯელი უცოდებელი სული...

ასეთ მდგომარეობაში გულის ჯავრს ისევ მო-  
წიფებზე ვყრილობ ხოლმე...

მართლაც ძუ ვეფხვი ვარ მათთან, რომელიც ჩა-  
მივართდება ხოლმე ხელში სულ სიქას ვაცლი!.. მც  
შენ გატყვი მიზეზებს ვერ ვიპოვნი თუ?! რომ ვსკე-  
ქავ იერიქონის საყვირივით: „აბა თვალები არ და-  
სამხამოთ და არ ისუნთქოთ სანამ მე არ გიბრიანოთ,  
თორებ ტყავს კუდის რიკამდე გავაძრობთ მეტქი“.

კველანი გაისუნგლებინ... ბოლოს ერთი ვინმც  
გელარ მოითხენს: ან თვალებს დაახამხამებს, ან ა  
ამოისუნთქავს, და მეც გამრჯვებული იმას ვებ-  
დოენები რომ მისი ბაგია-ბუგი ჩემი, სიყვარულის  
ხანჯალით უდროვოდ დაკოდილი გული დავიოხო.

ვ თრი კვირის წინ ერთ მოწაფეს ერმინე შეჭ-  
რილიძის ბიქს ნოეს, რომ ვსტკვლიცე სახეში სისხლი  
ოტიძის კამარასავით წამოუვიდა ცხვირიდან... ცოტა  
შევფიქრიანდი გოგო, მაგრამ ინტიბარი მაიც არ  
გაფიტეხ, რაფან ხო იცი კაცს ეშმაგი თუ სწყა-

# ს ც ე ნ ა უ ნ ი ვ ე რ მ ა ღ უ ბ



— მოქალაქე ნოქარო, ნასკები გაქვს?...  
ნოქარი, რომელიც რაღაცას მოუსვენრობს და რეტიდასხმული-  
ვით ბრუნავს დახლში ჯერ თითქოს არც კი იმჩნევს შეკითხვას,  
თითქოს საქონელს ალაგებს თაროებზე და თანაც თვალებს იქით-  
აქეთ აცეცებს.

— ნასკები გაქვს?.. — განმეორებით გაისმის შეკითხვა.  
ნოქარი ამასაც ყრულ ხვდება.

მუშტარი ხმას უმაღლებს და ისევ ეკითხება:

- ნასკები ხმა არ გაქვს ჩემთვის, მამაკაცისთვის გესმის თუ არა?
- მესმის, მესმის. ყრუ კი არა ვარ, ასე რომ მიყვირი.
- მე კი არ გიყვირი. მხოლოდ შენ კი პასუხს რად არ იძლევი?..
- ხომ ხედავ, საქონელს ვალაგებ!
- შე კაი კაცო, საღაცაა უკვე თერთმეტი საათი გახდება და  
აქამდის ვეღარ დაალაგე ე შენი ერთი ბეჭო ადგილი?..
- მოქალაქევ, აქ ბრძების შკოლა არ არის!
- არც ყრუების?!.
- უკაცრავად, ყრუ თქვენ თვითონ ბრძანდებით, როცა ჩემი  
არ გესმით.



ამ დროს უკვე გამოჩნდა ის, ვისაც ნოქარი ასეთი გულის ფანც-  
ქალით ელოდა და ვისთვისაც ვაჭრობის დაწყებას განვებ იგვია-

## გედის ნიგრება

პატივცემულო ნიანგო! ამ ლექსს ჩინგურზე ამღ-  
რებდა სოფ. წიფლავაკის და სანახშირის კოლმეურ-  
ნებების მოანგარიშე ვალიცო პატივიაშვილი, რო-  
მელიც სიტყვა-სიტყვით გადმოვიწერე და გიგზა-  
ნით თქვენ.

მე იმას ვეტრფი უგალობ,  
ვინც მამაპაპურ ღვინითა  
ყელს ჩამითაფლავს, გემოზე  
გამომაზამთრებს ლხინითა.

მათივის მოკვდები, დამკვრელებს  
დღეებს დავაკლებ ძამია,  
კრინტსაც ვერ დასძრავს ვერავინ,  
არ მოკვდეს ჩემი თავია.

მყავს საკუთარი ბიჭები  
პავლე და ვანო ქებული  
და მასთან ასათიანიც  
ქრთამებით გასუქეუბული.

თვეში ერთ საათს ვმუშაობ  
ერთ თვეს კი ვიწერ სრულად,  
ყოველდღიურად ვქეიფობ  
სოფლებში ხალტურულადა.

ნებდა, ასე ვსოდეთ, ფეხს ითრევდა. მაგრამ ეჭვა უწერნელმა-  
გაჩნდა: ზევით ალიშნული დავისა და შელაპარაკებულ დროს დაწელ-  
თან უკვე თავი მოიყარა მუშტრების კაი ძალა ჯგუფმა. ნოქარი  
ამას თითქოს მოელოდა, როცა თავისი ნაცნობისათვის ჩეკი უკვე  
გამზადებული აქვს. აწუხებს მხოლოდ ის, თუ როგორ გადააწო-  
დოს იგი ნაცნობს. აი რა იწვევს მის ღელვასა და მოუსვენრობას.

მაგრამ ნათქვამია: „ვინც გააჩინა თხა, მანვე მოუკაუჭა რქა“—ო.  
უცბად ნოქარმა ჩეკის წიგნს სისტატური სისტრაფით ააცალა პირ-  
ველი დაწერილი ჩეკი, თითქოს უბრალო ყდა ან სხვა ფუჭი ქა-  
ლალდი ააცალა მასო და სხვებისაგან შეუმჩნევლად მოიმწყვდია ის  
თითებშორის.

— აა, ხეჩის ვახლავარ, ხეჩის. — მიაძახა მან თავის ნაცნობს და  
გაუწოდა შორიდან ხელი, რომლითაც ვაარღვია მოსეულ მუშტარ-  
თა წრე და მიაჩერა ნაცნობს ხელი ხელში.

ხეჩიმაც იგრძნო თუ არა ნანატრი ქალალდის ნაგლეჯი თავის  
ხელში, მოკრძალებით ჩამოართვა ის ნოქარს და ამ გულთბილი  
მისალმების შემდეგ არხენად გაუდგა გზა...  
თქვენა გგონიათ, საით, სახლისაკენ?.. არ შეგძამოთ ჭირმა!..  
მაშ?.. სალაროსკენ, ფულის გადასახდელად!....

— ნასკები არა გვაქვს, შემოიარეთ ხვალისათვის, მგონი დარ-  
ჩეს... მონახა ხალხში პირველი მუშტარი და დაყვავებით, ცოტა  
ხმის დაწევით უთხრა მას, რითაც მოიმაღლიერა და თავიდან მოი-  
ცილა.

და როდესაც ეს უკანასკნელი გაშორდა იქაურობას, ნოქარი  
წელში გასწორდა, გამარჯვებულ ყვენჩილასავით გადახედა დანარ-  
ჩენებს და მიუვი მათ, რომლებიც თავიანთ შეკითხებს მერამ-  
დენჯერმე იმეორებდნენ:

„ნასკები, აღარ დარჩა, უკვე მორჩა!“  
ხელო ვეებერთელი ბოხჩა ნასკებით კი რამდენიმე წუთის შემ-  
დეგ გამოართია ხეჩიმ და პირდაპირ გასწია მით ხელდამშვენე-  
ბულმა ეგრედწოდებულ „დახურულ ბაზრისაკენ“

შაშიჩა

## მომაღერლები გუნივილი 2021

(სცენა ჭიათურის რაიონის სოფ. ბჟინევის „წითელი  
დროშის“ კოლმეურნების გამგეობის ოთახში)

### მომებედი პირი

1. ვარდენ რაზმაძე ამავე კოლმეურნების გამეონ-  
ბის თავმჯდომარე.

2. ზაქარია მოდებაძე ვარდენის მარჯვენა ხელი, პი-  
რის ზიარება, სულის ცხონება და ყოფილი მერშევი-  
რი, გარდენის შესვეობით კოლმეურნებიაში დაბულ-  
რებული და გამგეობის თ-რის მოადგილეთაც გამ-  
ქრალი.

ვარდენი — ზაქრო! ზაქრო! შენსა მზესა  
ჩვენი საქმე რა დღეშია,  
გუშინ ბლობად გადასუხეთ  
მაგრამ დღეს კი ისევ მშია!!.

ამ ბოლოს შიში დამჩერდა,  
პირში მიშრება ნერწყვია.  
ვხედავ, ზოგიერთ ჭაბუკებს  
შავი წუთები ეწვია.

მეც თუ გამიწყრა გამჩენი  
დღე დამიბარებულ მზიანი,  
მომიგონებდეთ მიყვარდა  
ქეიფი ლაზათიანი.

წიფლავაკელი.

ზაქარია — ჩიმო ვარდენ, რა გაფიქრებს  
ვჭამოთ, ვსვათ და ვიყოთ ძურად,  
კოლმეურნეთ ქონებანი  
გავისალოთ საწვედ ფურად!

ვარდენი — მართოლი ხარ ზაქარია  
გამის მეტი რა შევრჩება,  
ხენა-თესვაზედ უფიქრებლად  
დავისენოთ, ვიგრძნოთ შევება!  
ბელლებიდან ხორბალი ხომ  
გავაცოცეთ თავსაყრელი...  
მოგმარავდით სხვათა შრომით  
ოხრადა გვაქვს ყველაფერი!..

ზაქარია — კულაპურ ავიტაციას  
მეც ვიწევი დღი შრომით,  
კოლმეურნეთ შორის დავალ  
სიფრთხილით და ქვეშვეულ ძროშით  
მოქანა-იარალები  
ყრია ცისვეულ გაბრული,  
ხენა-თესვისთვის მზადებაზე  
აუცრუე ყველას გული!

ერთად  
განცრილაში გავეტარობ  
ეს ცხოვრება წამიერი;  
ვიქეიფოლ, ვილალობოთ  
ვსკერდ მრავალ-უმიერი!..

შეუან ხლუსტა.

# „შენ გენაცვალე, ჩემო უავო ბიჭო“!

ანუ ნიანგის საკბილონი ორჯონიკიძის (ყ. ხარაგოულის) რაიონიდან.

კვირა დღე იყო, როდესაც ნიანგი ორჯონიკიძის ჭან. რაიონში ჩავიდა. ბაზარზე აუარებელ ხალხს შოეყარა თავი. პროდუქტებიც ბევრი იყო გასაყიდი, მაგრამ სპეცუალტები უფრო მეტი ჩამოსულყველი. ნიანგი ძალიან დააინტერესა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც გვერდზე ახმანი ქალი დაკვებოდა; მათ ბლობად ეყიდათ: ქათმები, ბატები, გოჭები, დევრცები და სხვა პროდუქტები.

— თქვენი გვარი ამხანაგო? — შეეკითხა მათ ნიანგი.

— სევერიან ყრუაშვილი გახლავართ.

— ბიჭო! შენ ის სევერიან ხარ ხარაგოულის რაიონიშის მოლითის სოფლის კაომერატივის თავ-შვალმარედ რომ იყავი?

— დაახ... მაგრამ იქ შეიძინ ათასი მანეთის მეტი ვერ მოვასწარი შექმა, გამსკვანჩეს, სასამართლოს გადამცეს და შეკმული თანხის დასაფარავად მოელი ქონება გამიყიდეს. შევუდექი ხელმეორედ ოჯახის მოწყობას და ახლა, მადლობა ღმერთს, ისევ ჩავარდი ქორის ორმაში.

— სად მუშაობი? — კვლავ ჰქითხა ნიანგბა.

— ხარაგაულის რეინგზის სასადილოს გამგეთ და შეთავსებით ხაშურის რეინგზის სასადილოს გამგეთ გახლავართ, ორი წელია. გყიდულობ და უყიდი პროდუქტებს ჩემ ნებაზე. არ მინდა გავქაფო, ჩაგრამ კონტროლი არავინა და რა ვწანა...

— ეს ქალი გინდა?

— ოჯახობა! ენაცვალოს ჩემი თავი, მეხმარება ჭუკელთვის... ის რაც ქაფა იმას მიაქვეს სახლისკენ. ფთლით მსუქან დუმას, მცურველებით გვრიტებივით და ვართ...

სადგურზე აუარებელი ხალხი უცდიდა უკვე გა-მოსულ მატარებელს, მაგრამ სადგურის მოლარე ევ-ტები მაღრაძე არსად სიანდა.

— სად არის მოლარე? — შეეკითხა ნიანგი ბი-ლეტების სალაროსთან რიგში მდგარ მოქალაქეს.

— შეიგით, სალაროში, ძმაბიჭებთან ქეითობს.

— დიდებული ხასიათი აქვს, ერთი ჭიქა ღვინოსაფესის ტრაპიზინში წაგვევდა — დაუმატა მეორე შგზავრდა.

ნიანგი იმ ამბავმა დააინტერესა და რკ-გზე. სალაროში, შევიდა. სწორეთ ამ დროს მოლარე მარიანები აიღო ხელში ღვინით სახეს ჩას ჭიქა და მეგობრების სადლეგრძელო სულმოუთმენლად გადა-ხუს. შემდეგ განსაკუთრებული მგრძნობიარე სიტ-ყვა წარმოსთვა ძირულის რკ. გზის მოლარე ან-ტონის ტერიტორიის შესახებ:

— გაუმარჯოს ამ. ანგონდისტე ცქიტიშვილს, რომელსაც რამოდენიმე რეკორდი აქვს აღებული ღვინის სმაში და ხურდის ქაფაში. გუშანწინ ამ. ანგონდისტე ტელეფონით დამიძახა: „ნიანგში გამო-მვეყნებულია წერილი, სადაც ნათევამია: თბილი-სის მოლარებს სალაროშე თუთიყუში დაუჯინეს, რომელიც უწყვეტილი იძახის: „ხურდა არ არის, ხურდა არ არის“. ასეთი თუთიყუშები მოლარებმა თეოთონ უნდა შეიძინონ; ამეღამ თბილისში მივდი-ვარ და ერთს შენოვისაც გაყიდიონ“. ასეთი გულშემა-ტივარია ამხანაგებო ჩენი ძმა ა-ნ-ე-პ-ო-ს-ტ-ე..

ამხანაგებო, არ შეიძლება არ ვადღებრძელო აგერ ეს ჩემი თანაშემწე მოლარე ქალი ლუბა, რამელიც არის სადგურის უფროსის ღომების მხარის დამაშ-შვენებელი და მგზავრების „ალმაშენებელი“. გულის კარი გამეხსნა, როდესაც მან რაიკავშირის ეკონო-

მისტ აბაშიძეს ექსკურსანტებზე ზილეონტის შეცემის დროს ის განეთი ააწანა. დალაპარ წევერი ტელეფონზე, „წერილწერილს მსხვილმსხვილი ჯობიან“ და ამიტომ მცირე ხურდას ყურადღებას არ აქცევს. ხა-ცვალოს ჩვენი თავი სადგურის უფროსს ღომების. მან ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცის და ამიტომ ყურადღებით გვეპყრიბა. რა ქანა, პატარი სარგებ-ლობა ჩვენგანაც აქცის. არც იგი უნიჭო ბიჭი; თუ რაიმე საქონელი მიიღო რაიგავშირმა და მას უსას-ყიდლოდ არ შეხედა, ეს გათი მათი ბრალი. იმ წერტი აიღებს ლუქს და დალუქავს რაიკავშირის საწყობს. თუ შეეკითხებიან რატომ ღუქავს საწყობს, პასუ-ხი ყრონტში აქცის მოსული და გაბასუხების: „თქვენ ხრანგნია არა გაქვთ გადახდილი და საქონე-ლი უჩემოთ არ იქნეს გაყიდული“. ძალიან შეაცი-ნი ბიჭია, გაუმარჯოს მის კეთილშობილებას რომ ჩვენისთვის პატარისანი მშრომლებისთვის კადებ უფ-რო შეეწყოს ხელი.

ამით დამთავრდა სალაროში კამპანია და მოგრა-ლი მაღრაძე შეუდგა ბილეტების გაყიდვას.

— დამიტრიუნ ხურდა ორი განეთი!.. დამიტრიუნ ხურდა მანეთი!.. ორი აბაზი! ათი შაური!.. ისმოდა მგზავრების ხმები, მაგრამ მაღრაძე რისი მაღრაძე იყო, თუ ვინმე ხურდას დაუბრუნებდა. მგზავრების მატარებელი ასწრებდათ და სერით მსხვილ-მსხვალ ხურდა ჩასტოვეს სალაროში. რამდენიმე კიდეც დარ-ჩა მატარებელზე, რადგან შეენელილებულმა მაღ-რაძემ ბილეტების გაყიდვა ვერ მოაწრო.

— შენი აქ მოცდენა აფსუსია ბიძია ევრიხი—ჩა-ლაპარაკა ნიანგმა ევტინი ჩანგალზე წამოაგო და მსუქან დამაშებით დაკვირითული მხიარულად გაემ-გზავრია თბილისისაც კადები.

კირკიტა.

## ლ ი ლ ი მ ი ნ ა ღ ა

ჩხარის საკოლეგიურეო სახ. თეატრი

დ ღ ე ს

დ ღ ე ს

„ა ე ც ე

ა რ ლ ი კ ი ნ ი

დადგმა—დილიმ ჭეიშვილის.

რეჟისორი—დილიმ ჭეიშვილი

არლეკინის როლს შეასრულებს—დილიმ ჭეიშვილი

თეატრის სამხატვრო ნაშილის გამგე დილიმ ჭეიშვილი

თეატრის დირექტორი დილიმ ჭეიშვილი.

ადმინისტრატორი დილიმ ჭეიშვილი.

გამლის გეორგი გიგი გიგი გიგი და არაგაზი.

არაგის შევებენი.

რაიმალაზის წინ აუარებელ შომხმარებლებს შოეყარათ თავი ფართლეულის მისაღებად.

— ნეტავ ვინ არის გამყიდველი? — შეეკითხა ხი-ანგი ერთ ბავშვიან ქალს.

— შალიკო შარიქაძე გახლავთ, ბატონი. — უპა-სუსა ქალმა.

— კი მაგრამ, თქვენ დილითაც აქ დაგინახეთ და საღმომდე ნუთუ ვერ იყადეთ ფართალი? — შეე-ჭითხა ნიანგი.

— ნოქარი ჩეენ ყურადღებას არ ვაქებეს. მო-დიან ხმირად მისი ნაცრობები, მეზობლები, ქალი-შვილები, წერილს გადაუგდებენ და ჩიგსარებელი დაულობენ.

ლაპარაკის დროს ნიანგმა მართლაც შეამჩნა, რომ ჭილაც ქალიშვილმა დასწერა წერილი, დაახვია რო-გორც გამოსარის და ნოქარს ესროლა. ნოქარს წერი-ლი შუბლზე მოხვდა და დახლზე დავარდა. ერთ წუთში ქალიშვილმა მიიღო ქალალდში შეხეული მატერიალი.

— ამ. შარიქაძე, იმ ქალიშვილს მიზანი კარგად ცოდნია. ერთი მიჩვენეთ ის წერილი, იმ წუთში რომ შებლზე გამოხვიდეთ. — უთხის ნიანგმა შარიქაძეს.

შარიქაძე შეფიქრიანდა თავის გვარი რომ გაიგონა, მაგრამ არა ის იზამდა — ნიანგს წერილი ხელის კან-ჯალით გადასცა. წერილი ასეთი შინაარსის აღმანიდა:

— „შენ გენაცვალე ჩემი შავო ბიჭო, ზოლიანი შოლოვი პალატის 4 მეტ. და 10 მეტრი პირკალი შემიცევი და მომეცი, ჩემი გადარეული დისტანცია ზინდა. სამაგიერო ჩემზე იყოს. ლოლა.“

— ამხანაგო შარიქაძე. თქვენ დილი ხანია რაიმა-ლაზის ნოქრად მუშაობთ? — შეეკითხა ნიანგი.

— სულ ორი თვეა. — უპასუსა შარიქაძემ.

— გეტუნბა რომ სევერიან ყრუაშვილზე ნაკლები არც შენა ხარ, ჩემი აქ მეორედ მოსვლის დროს ჩა-შალაზაში შენა ბურდლა აღიარ განახო. — უთხის ნია-ნგმა და რეინგზის სადგურისაც გასწიო.



ის იყო თბილისის სადგურში შევედი და და-  
ვაპირე საბილეთო სალაროსაკენ წასვლა,  
რომ უცებ ნაცნობი ხმა შემომესმა:  
— რა კაი დროს შემხვდი, ბიძია გრიგოლ!..  
გამარჯვობა შენი!..

მივიხედვე, ჩვენი სოფლელი გლეხი — სარ-  
დიონი მიდგა წინ.

— რა იყო, ხომ არაფერი გიჟირს, ბიძაჩე-  
მო? — მივახალე უცებ, რადგან სარდიონის  
სახეზე მწერარება ამოვიკითხე.

— გაჭირვებით არაფერი, ჩემი გრიგოლ,  
მარა სოფლელში მივდივარ, გენაცვალე, აქამ-  
დე ბალანამ მომაცილა, ჩემი უფროსი ბიჟი  
რომაა; შენც ქე იცნობ; აი, ბილეთიც ქე მი-  
ყიდა და თვითონ რაღაც სასწრაფო თათბი-  
რიაო, იქნე გეიცეა; ახლა აქანე მეუბნებიან:  
შენი მატარებელი საცხა ბორჯომის ტუპი-  
ში დგასო. ორჯერ გვედი გარეთ, მარა ვერ  
მივაგენი. მატარებელი ერთი კი არა, ოთხი  
დგას. ყველაში ხალხი ჯდება და რა ვიცა;  
რომ შემეშალოს, ხომ იცი... პეტერე, აში  
ქეც მოგხუცდი და აი, ტუპიკებს ვერ ვაგნებ,  
თვარა, წინეთ მოგეცა დღეგრძელობა, მაი არ  
შემეშლებოდა. — ტრაბათარევი ლიმილით  
დაამთავრა სარდიონში.

მართალი მოგახსენოთ, თბილისის სადგუ-  
რის ლიანდაგების სქემას არც მე ვარ მანც-  
დამაინც გაცნობილი, თან ჩემი ბილეთის შე-  
ძენა მეჩარებოდა და ერთობ უხერხულ მდგო-  
მარეობაში ვიგრძენი თავი, მაგრამ უცებ  
მომავრნდა:

— მოითმინეთ, ბიძია სარდიონ, მეც ავი-  
ლებ აგრე ჩილეთს და ერთად წავიდეთ.

— ხო, გენაცვალე, მაგას გეუბნები მეც.  
გაუხარდა სარდიონს.

მივადექი სალაროს:

— ერთი ბილეთი ქუთაისამდე...

— აი გახლავს! — ქვასავით მომხვდა პა-  
ტარა სარტყელიდან გამოსროლილი ეს ორი  
სიტყვა... ვიგრძენი ცივმა ოფლმა დამასხა  
ტანზე...

— იქნება რამეფერად... ერთი ბილეთი...  
დავეღრიჯე მოლარეს...

— არც ერთი!.. მიბრძანდით, სხვა სალ-  
როში იკითხეთ...

მეორე სალაროს მივადექი.

— აქ სამხედრო სალაროა.

მესამეს მივადექი.

— მიბრძანდით, მეხუთე ნომერი სალაროში,  
იქნებ რბილ ვაკონში იქნეს ადგილი. —  
მიპასუხეს მესამე სალაროდან...

დაგრბივარ სალაროდან სალარომდე და-  
უკან დამდევს ხურჯინ-გადაკიდებული სარ-  
დიონი.

არც ერთ სალაროსთან არაფერი არ გა-  
მოვიდა. სასოწარკვეთილი გახერდი დარბა-  
ზის შეუ ადგილს და შევაჩერდი თვალებში  
არანაკლებ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში  
მყოფ სარდიონს...

ამ დროს... ისე, სხვათაშორის, გვერდზე  
ჩამიარა ვილაც მადლიანმა „ნასილშიერმა“,  
რომელიც თურმე თვალს ადევნებდა ჩემი და

თბილისში ავლიერის ქუჩაზე (კიროვის სახ. რაიონი) ნაგვეზი  
ჩაიფლო ამავე რაიონის სანიტარისტის ტორი, დაზარალებული ნაგავ-  
ში დახრჩობას ამავე უბნის მეეზოვებ გადაარჩინა. კვლევა-ძეება  
არ სწარმოებს.

## ურთისასი გეგმა

**ჩეოროცხუს** რაისაგზაო განყოფილებამ შეადგინა რაიონში  
უგზონობის ლიკვიდაციის ოცნებიანი გეგმა. გეგმაში შეტანილია  
ორი ათასი სანტიმეტრი გზის მოხერხვა და სამი ცალი ფიჭვის ყავ-  
რის შეძენა ხილ-ბოგირების მშენებლობისათვის.

კ. ლეხევინელი

## კულტურული „პირატი“

**სუცსა**. — ბაზუსით შეჭინვილებულმა საშ. სკოლის დირექტორ-  
მა ჭ. ჩხაიძემ მორიგი თავდასხმა მოახდინა კინო-სურათის სანახ-  
ვად მოსულ მოწაფეთა გუნდზე. გუნდი გაიფანტა... გამარჯვებული  
დირექტორი ძმაბიჭებმა ხელით ცივ-ცივ შეიტანეს თავის ოთახში.  
ჭინ-რი.

## აღმოჩენა

**სვირის** რეინიგზის სადგურის უფროსმა აჯამეთის ტყიდან ვა-  
მოიწერა ერთი ვაგონი კვარი სადგურის გასანათებლად.

გოუ

სარდიონის სირბილს და დაბალი ხმით ჩამი-  
ლაპარაკა:

— რა ქენით, ბილეთი ვერ იშოვეთ?..

— ვერ ვაშოვე...

— მოიცადე ცოტახანს, იქნება რამშე მო-  
გიხერხოთ. — „სხვათაშორის“ ჩაილაპარაკა  
და წავიდა...

სასწაულების არასდროს არ მჯეროდა...  
თუ არც ერთ სალაროში ბილეთი არ არის,  
ეს კაცი რას მიშოვის-თქვა, ვიფიქრე, მაგ-  
რამ მეტი რა გზა იყო? უნდა დაშეცარა...

— მე რა ვენა ახლა, დავრჩი პირდაპირ და  
ავია! — შეწუხდა სარდიონი.

— იქნება ასწავლოთ, ამხანავო, ამ მოხუ-  
ცებულს, რომელ მატარებელში უნდა დაჯ-  
დეს! — შევეცეშე წესრიგის დამცველს.

— სად მიდის, ბილეთი აქვ?

— ქუთაისში, ბატონო, ა ბილეთი, აგრე...  
რავა არა მაქ. — აღარ დაგვაცალა სარდიონმა  
და ოფლით დასველებული ბილეთი გამოი-  
ლო მუჭიდან.

მცველმა გულდასმით ჯერ ბილეთი გასინ-  
ჯა, მერე სარდიონს ახედ-დახედა და უთხრა:

— გაყევით ამ ხალხს უკან, აგერ რომ გა-  
დიან პეტონზე, მაგრან ყველა ქუთაისში წა-  
მავალია და საღაც მაგენი შევლენ, შეყვე-  
შენც. მე პოსტს ვერ დავტოვებ, თორემ...

— კაი, ბატონო, კაი, რაცხა იქნება და იქ-  
ნება...

— მადლობა!.. — ერთი კი მოგვაძახასარდი-  
ონმა და პეტონზე გამავალ ხალხს გამოუდგა  
უკან.

მატარებლის წასვლას ხუთი შუთი უკლდა,  
როცა ჩემი „ნაცნობი“ ნასელშიკი მოვიდა და

თან მეორე მოიყვანა, რომელიც ცოტა ჭი-  
მორებით გაჩერდა.

— მე არ შემიძლია, მაგრამ ამ ამხანავშია  
იქნება მოგიხერხოთ რაიმე... მომეცით ფუ-  
ლი, სანამდე გინდათ ბილეთი?.. თან ცოტა  
რაცხა მაგასაც.. ხომ იცით! — არ დამთავ-  
რა სიტყვა.


მე მაშინვე ბილეთის ფული მივეცი. „ცო-  
ტა“ იმ „ამხანავებისათვისაც“ დაგამარტ-  
არც ჩემი „ნაცნობი“ ნასილშიკი დავივიწყე...  
— ა, მე არა, ბატონო! — ხიტკა ჩემმა  
ნაცნობმა...

— მოკიდე, თუ კაცი ხარ ხელი, ამით  
ქრთამს კი არ გაძლევთ, არამედ გასამრჯე-  
ლოს, რადგან ჩემი გულისოთვის შეწუხდით,  
მხოლოდ თუ მა ხარ, მერე ერთი ის ბორ-  
ჯომის ტუკიციც მაჩვენე, საღაც ჩემი მატა-  
რებელი დგას.

ორ წუთში ბილეთი ხელში მქონდა; პეტონ-  
ზე ჩემმა ნაცნობმა ნასილშიკმა გამაცილა,  
საღაც მატარებლის კუდისათვის შემახედ-  
ვინა და თან გამამროთხილა:

— სამი თუ ითხო წუთით ქე უნდა იყოს  
წინ, აქაურ სათებან-შედარებით, იმ პე-  
ტონზე საათი რომ კიდით და მატარებელმა  
არ გაგასწროს... მეც გავექანე მატარებლისა-  
კენ, ერთი კი მოვერი თვალი ჯულფისაკენ  
მიმავალ მატარებლის ვაგონში სარდიონის  
ჩაბალახაკრულ თავს და როგორც იქნა მა-  
ტარებლის უკანა ვაგონზე მოვაწარი შეხ-  
ტომა...

ჩინგისხანი.



\* \* \*

ერთ ლამეს მოლა მასრადინას ბავშვმა სა-  
ზინელი ტირილი ატეხა.

— მოლა, გესმის, ბავშვი სტირის, აკვანი  
ვარწიე, ნახევარი ხომ უენიაო. — უთხა  
ცოლმა.

მოლა გადაბრუნდა მეორე გვერდზე და  
ცოლს უთხრა:

— შენ შენი ნახევარი დაარწიე, დეე, ჩემ-  
მა ნახევარმა იტიროს.

\* \* \*

მოლა მასრადინას შარა გზაზე სახედარი  
მოუკედდა. მოლა იქვე ჩამოჯდა და დაიწყო  
უნუგემოდ ტირილი. გამოიარა ვიღაცამ და  
ანუგეშა:

— ეგრე რად სწუხარ, თავს რად იკლავ,  
მოლავ, ალლახი უფრო უკეთეს სახედარს  
ვიწყალობებსო.



— გამადლობ, ძამიავ, — უპასუხა მოლამ. —  
შე უკეთ ვიცი ჩემი ალლახის ხასიათი.  
თხუთმეტ მანეთ ნაკლებ მე ის სხვა სახე-  
დარს არ მიწყალობებსო.

\* \* \*

მოლა მასრადინა თაფლსა ჰყიდდა. ერთმა  
კაცმა თეფში მოიტანა და ერთი შაურის  
თაფლი მოსოხვა, მოლამაც, რაც შაურისა  
ურგებოდა, იმდენი მისცა.

— ერთ შაურად ეს თეფში უნდა ამიგსო, ლოდ ერთ რამესა გთხოვ და უნდა შემის-  
ძალდატანებით ეუბნებოდა მყიდველი. მოთ- რულო კიდეც.

მინებიდან გამოსულმა მოლამ უპასუხა:

— სოქვი, რა გინდა?

— როცა სამ ნალს, ცხენსა და უნაგირს  
გაიწყობ, პირველიდ მე უნდა შევჯდი ჭედ  
და ჩემს მშობლებს ისე ვეწვიო.

გლეხს გული მოუვიდა: როგორ თუ პირ-  
ველად, ჩემს შეჯდომამდე შენ უნდა გა-  
ხედნო ცხენიო? — მოუჭრა ცოლს და ერთი  
ლაზათიანად მიჰეგვა.



— შვილო, ამას პატარა ფუტკრები ძე-  
თვებენ. მე რომ გამეეთებინა, მაშინ თეფში  
უთუოდ აგიმსებდიო.

\* \* \*

გლეხმა გზაზე ცხენის ნალი იპოვნა.

— ეს კარგია, თქვენმა მზემ, — სოქვა  
გლეხმა, — მართალია ხალხი, რომელიც ამ-  
ბობს: „ტყვილა ჯდომას ტყვილა სიარული  
სჯობიაო“.

სახლში რომ მივიდა, ნაპოენი ნალი ცოლს  
დიდის ამბით გადასცა და უთხრა: „გზაზე  
ვიპოვნე, — შეინახე, ეს დიდათ გამომაღე-  
ბომ“.

ცოლმა გაკვირვებით ახელ-დახელა ქმარს  
და შენიშნა: „ძალიან დიდი რამ გიპოვნია,  
აბა რაში უნდა გამოგაღეს ეს ერთი და  
ისიც გაცვეთილი ნალი...“

გლეხს გული მოუვიდა: „ქალის ჭკუა ვი-  
ნა სოქვა. ამ ნალის პოვნას ჩემი აშენება  
შეუძლია“.

— როგორ?!

— როგორ და აი ასე: ახლა მაკლია მხო-  
ლოდ სამი ნალი, ცხენი, უნაგირი და ავ-  
შენდები კიდეც. გაიგე...

— აბა, ამას რა დიდი გაგება უნდა. ეს  
ისევე ნათელი საქმეა, როგორც მზე. მხო-

\* \* \*

როცა მოლა მასრადინამ პირველად მო-  
ლად ყოფნა ინდომა, ჰელის:


— რა გემოლება, რად ეჭიდები მაგ საქ-  
მეს?

— იმიტომ, რომ ჩემმა წინაპარმა ინდერ-  
ძათ მითხრა ზარმაცი და მუქთა ჭამია იყა-  
ვიო. — უპასუხა მოლამ.

\* \* \*

მოლა მასრადინას ცოლი მოუკედა, მოლა  
ცხარე ცრემლით სტიროდა.

ერთმა ახლო ნაცნობმა უთხრა:



— რაღასა სტირი, მოლავ, მაინც ცხონე-  
ბულთან ვერა რიგდებოდი და ეხლა ხომ  
მორჩი, რაღად უნდა სტიროდე, უნდა გი-  
ხორდესო.

— მე იმას ვსტირი, — უპასუხა მოლამ, —  
რომ რატომ ამ სამი ოთხი წლის წინათ არ  
მიიცვალა ცხონებულიო.

# წარმოდგენი ნაცრის ქარხანაში

ნაცრის ქარხნის ქარხომმა წარმოდგენის დაღმა მოინდომა თავაანთ კლუბში. გამოუძახა კლუბის გამგეს და უთხრა:

— კაცო, რას შვრები, რატომ არათერ წარმოდგენის არა სდგამი? რაშია საქმე?

— როგორ უნდა დავდგათ წარმოდგენა! არც დასი გვყავს, და არც ხელმძღვანელი.

— როგორ არა გვყავს, მაგრამ შენ უშნოხარ, ბიჭ!

— სამი თვევა რაც აქა ვმუშაობ და ხელმძღვანელი კი არ მინახავს თვალით.

— ვერც ნახავ, თუ არ მოძებნე. ა, ბიჭო, მე გასწავლი: უნდა მიხვიდე ყველასთან და ჰყათხო: „ვინ ხართ არტისტებითქო“ ძალები უნდა შეაგროვო, რაც შეეხება ხელმძღვანელს, მე გეტყვი მაგასაც: ჩემს მდივანს ხომ იცნობ იმ კაცს უთამაშია სცენაზე სოფელში. როცა „ოტელოს“ სდგამლნენ ეგ თურმე „პამლეტის“ როლს ასრულებდა. მთავარი როლია, ბიძია, ხუმრობა ხომ არ არის. ჰოდა ასე ქენი, როგორც მე გეუბნები. ამ ერთ კვირაში, რომ არ დავდგათ წარმოდგენა, ხომ აცი...

— ერთ კვირაში რა უნდა მოვასწროთ.

— რატომ! რა მოქმედებიან პიესას ვიშოვნით, ან ჩვენ თითონ დავწეროთ, ჩვენი გუნდიც საუცხოოდ ასრულებს სიმღერას, საცეკვოს.

— რა ვიცი, იმ დღეს რომ საღამო გავმართეთ, არ მოიწონეს.

— უჟ! ის კაცო, სამოდეისტვიტელნი ვეჩერი იყო და ახლა ნამდვილ წარმოდგენის დაუდგამთ. ან და რატომ არ მოეწონათ, ჭარგად არ მღერიან თუ? აიღე თუნდაც ეს სიმღერა:

შინავითი ლონგინოზა,  
ვოდილა ვო გაგო,  
დელავითი ლონგინოზა  
ვო შინა ვო გაგო...

— რას მელაპარაკები კაცო, — განავრდო ქარხომმა: — მაგრენ უკვე მეთერთმეტე თვე უსრულდებათ, რაც მაგის რეპერიციას გადიან და როგორ გეკადრება?

— ასე ქენი, როგორც მე გეუბნები. პირველ ადელენის მაგენს მივკიმთ, მეორეში წამორდგენის, სიაში მეც ჩამწერე.

გავიდი შვიდი დღე. წარმოდგენა მზად იყო. დარბაზი საცხე იყო ხალხით. პირველი განყოფილება მშეიღობიანად დამთავრდა. ელოდნენ მეორე განყოფილებას, მსახიობები უკვე გრიმებში იყვნენ, და ელოდებოლზენ ორ შემსრულებელს, მაგრამ ისინი არსად სჩანდნენ. ბოლოს გადასწყვიტეს არ მოსულთა მაგივრად ეთამაშათ მორიგე მეხანძრე და დარაჯი.

— აბა, თუ მა ხართ, ამაღამ თქვენ უნდა მიშველოთ, გრიმები გაიკეთეთ, ტანისამოსი იგივე გერმებათ, თორემ უკვე გვიანაა, მხოლოდ როგორც გეტყვით, ასე მოიქეცით, აბა თქვენ იცით, არ მიღალატოთ. — შეეხეშა ქარხომი მეხანძრეს და დარაჯს.

— კაცო, მაგის დარღი ნუ გაქვს. წარმოდგენი არ გვინახავს, თუ როგორ გვინიათ? — იწყინა მეხანძრემ.

ფარდა გახსნეს.

— კაცო, ფარდას რომ ხსნით, სუფლაორი ჯერ არ ჩასულა ბუტქაში! რას მიშვრებით. — იყვირა დამდგმელმა, — დახურეთ ფარდა ჩერა! ფარდა დაიხურა.

— სად არის სუფლიორი! დაუძახეთ საჩიროდ! — ყვიროდა დამდგმელი.

— დაძახება რად განდა, აქა ვარ, მაგრამ ჩემი აქ არ ყოფნა რას უშველის, პიესა აქ არა მაქვს.

— რას როშავ, კაცო, მაშ სად არის პიესა? — სად არის და იმ ოხერს გავატანე, როლი არ ვიციო და მათხოვეო, არც თითონ მოვიდა და არც პაესა გამოვზავნა.

— რა ვენათ კაცო ახლა? წარმოდგენა უნდა გადავდოთ.

— გადავდგათ? არაფერსაც არ გადავდებთ, მე როლი საუკეთესოთ ვიცი და სხვებმაც იციან. აგერ სუფლიორიც აქ არის, მაგასაც ეცოდინება ცოტა რამ და ასე იოლად წავალთ. გახსენით ფარდა, უკვე გვიან არის — დაუინებით მოითხოვდა ქარხომი.

ფარდა გახსნეს. წარმოდგენა დაიწყო..

— „სად არის შვილო ჩემი ჩაბუხი?“ — ბოხი ხმათ უთხრა შვილს ქარხომის თავმჯდომარემ, რომელიც მოხუცის როლს ასრულებდა.

— აგერ არის, მამა, ცეცხლიც მოგართვათ?

— ჰო, შვილო მომიტა.

— არა, არ შეიძლება სცენაზე პაპიროსი მოწევა. — იყვარა „მსახიობმა“ — მეხანძრებ.

— გაჩუმდი კაცო, რაებს ბოდავ! — გაცეცხლდა „მოხუცი“ ქარხომი.

— როგორ თუ რა მალინარებეს, ერთობები და აანთეთ ჩიბუზო.

— კაცო, რას გვიშვრები, ეხლა პიესა მიმდინარეობს.

— პაესა კი არა, რაც გინდა იყოს, მითხარით სცენაზე ამოვედი, ხათრი არ გაგიტეხეთ, რაც შეეხება ჩიბუზის მოწევას, ნაგის უცლებას არ მოგვემთ.

— პარტერში პაპიროსი მოწევა არ შეიძლება მოქალაქევ. — წამოიძახა ვალაცამ პარტერში.

ამ სიტყვების გაგონებაზე მეხანძრე ჩამოხტა სცენიდან პარტერში. ატყდა ალიაქოთი, ამ ალიაქოთით დაიწყო სიცალ-ხალხი, ხალხი იირ-დაირია, სცენაზე მსახიობებმა არ აცოდნენ რა ექნათ, ფარდასაც არავინ ჰერივლადა.

გაბრაზდა ქარხომი, მოიხსნა წვერები-როგორც კი წვერები მოიხსნა, იმ წამსვე იცნეს ქარხომი და მაყურებლება სცენაზე ავარდნენ:

— შენ გენაცვალე შვილო, სამი დღეა რაც შენ გეძებთ, თუ შეიძლება ამ ბიულეტენზე ხელი მომიტერთ...

— რა დროს ეგა, ვერ ხედავთ რა მდგომარეობაა?

— ბევრი არა ვართ შვილო, სულ კევსნა ვართ.

— კარგი, მაშ ცოტახანს მოაცადეთ, კრიმს მოვიხსნი.

— კი, გენაცვალე, მე აქვე ჩამოვჯდები. „მოხუცმა“ ქარხომმა გრიმი მოიხსნა და რომ სირცევილი არ ეჭიმა ხალხის წინაშე მეორე კარებიდან გაიპარა.

როცა ფარდა დახურეს დარბაზში არავინ ალარ იყო, გადა ერთისა, რომელიც სცენაზე იჯდა და ბიულეტენით ხელში ქარხომში ელოდა.

სერ — დო.

## უსისესოდ, დაუჩეხელად...

### შორაპანი

შორაპანის კლუბში მუშაობს პარიკმახერი არჩილა,

უსისხლოდ, დაუჩეხელად არავინ გადაგვარჩინა.

შიშით წვერს ვეღარ ვიპარსავ იზრდება როგორც ჯეჯილი, რაღან არჩილას ნაჯახით სახე მაქვს გადაგლეჯილი.

გულზე საფენად ერთი აქვს ვიღაცის საცვლის ნახევი, ნიანგო, ყველას გვაშორე ასეთი პარიკმახერი.



ՀԱՅ ՈՒՂԱԿԱՆ ՈՉՈ?

## რადიოგამოცანები

(„კრაკვალილიდან“)

Digitized by srujanika@gmail.com

„ବ୍ୟାଙ୍ଗିଲିଙ୍ଗବନ୍”)

წინადაღებას გაძლიერეთ მკითხველებს, სანის გამოშეტყველების მინედვით გამოარკვიონ, თუ რას ისმენს ეს პიროვნება თითოეულ აურათში მოყვანილი ექვსი სურათიდან.



# კახანაგო ნიანგო!



**ამს.** ნიანგო. მე გახლავარ „გლავშერსტის“ დირექტორი. იქნებ არც კი გაგივინია ეს სახელწოდება. ასეთი მაღაზია ხუთია მთელს საბჭოთა კავშირში, მაგრამ კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და უნდა გითხრა რომ კომბინატორობაში და ქაფვაში ვერც ერთი დირექტორი ვერ მაჯობებს. ჩემთან ერთად მინდა ჩემი თაიგულიც, ჩემი ძმაბიჭებიც გაგაცნო: საწყობის გამგედ ჩვენი ძმა ქველი დაქოქილი გიორგი მიქელაძე მუშაობს, მართალია მან ამ მოკლე ხანში სულ მცირე თანხა რაღაც 3.000 „შემოქამა“, მაგრამ ასეთ პასიურობისათვის ხომ არ შეიძლება რომ კაცი გავაძეოთ, სულ მალე დახელოენდება და მერე ჩემი თაიგულის ერთერთი წამყვანი წევრი იქნება. პო და როგო ასეთი ბიჭები ხელს მიწყობენ მოლის და მოდის დრაფები, საკოსტუმები და სხვა მატერიები რამდენიც გინდა. შანსი თუ გაქვს ფულებიც გექნება. ამას წინად შოთერ მიტო ციცაშვილს 2 საპალტოვე დრაფი და ერთი კოვერქოტის საკოსტუმე გავატანე. მიტომ არც აქ მიღალატა და ებრაელთა უბანში მანქანით გაასეირნა საქონელი. მართალია 1265 მანეთად ღირებულ მატერიებში სპეცუალტება იონა დავარაშვილმა 2700 მა-

ნეთი ძმლია, მაგრამ მიტომ არ მისცა. ან რათა მშპლერი მისცეს ასე იაფად? მაშ ჩვენ კამა არ გვინდა? წავიდა და უფრო მეტად გაძყიდა. ეგრე არა სჯობია? ასეთი „გაიმასქენებები“ რამდენიც გინდა...

ნიანგო. თუ მიკადრებ და მოხვალ ჩემი თავი შენ გენაცვალოს. გაზაფხული კარზე მოგვდგომია. ისე გამოგაწყობ საგაზაფხულოდ. როგორც შენს ხასიათს გაეხარდება. შევიძლია ნაცნობებიც გამოგზავნო, მაგრამ ხალხი შეარჩიე... ხომ იცი ძნელი სანდობია... ამა შენ იცი... არსად არაფერი დაგცდეს ხომ იცი...

შავს ლუდსა წითელ დვინოსა

განა სუყველას სმა უნდა?

გულში ჩამარხულ სეკრეტებს,

განა სუყველას თქმა უნდა?

მაშ ასე... მატერიების გარდა ყელის ჩასაკოლოზინებელი რამგრუმები ჩემს კისერზე იყოს.

შენი ვალიკო ჯანელიძე

ბარათის ხელში ჩამგდები: ქაჩაზარა

## აუსესელი ამოცანა

(სოფ. ნიგორზღვა, სამტრედის რაიონი).

— ნიგორზღვის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაბოვარის“ თავმჯდომარის დროებით ამსრულებელმა გ. ნიასარიძემ ექვსი თვეს განმავლობაში „გააიმასქნა“ 2120 მანეთი საკოლმეურნეო ფული. ამოცანა გვითხება: რამდენი მანეთი შეუჭამია თვეში გ. ნიასარიძე?

- 353 მანეთი მასწავლებელო.
- სტყუი... აბა შენ მითხარი...
- 350 მანეთი მასწავლებელო...
- სტყუი...

პედაგოგმა სწორი პასუხი ვერ მიიღო.

ამს. ნიანგო! ასეთი ამოცანა მისცა მათების გაკვეთილზე პედაგოგმა მოწაფეებსა სოფ. ნიგორზღვის (სამტრედის რაიონი) არასრულ საშუალო სკოლაში.

მოგმართავთ რა თქვენ, ამს. ნიანგო, გთხოვთ თქვენი ჩანგალი დაატრიალოთ გ. ნიასარიძის მუცელთან და თავისი პირით ათვევინოთ თავსატეხი ამოცანის სწორი პასუხი თუ რამდენი მანეთი შეჭამა თვეში, თორემ ჯიუტი პედაგოგი ეხლაც არ ასვენებს მათ და ყოველდღიურად მოითხოვს ამოცანის სწორ პასუხს მოწაფეებისაგან.

ნახ. პოლჩერისა.



თოვლ-ჭყაპიან ამინდში ლარების ქუჩაზე (თბილისი)

## აგვავი მუხარელ ცარიელისა

მუხურელმა გიორგი აბესაძემ განიზრახა ქალის მატაცება, მაგრამ განზრახვა მარცხით გათავდა.

აქ აბესაძე გოგიას  
ეხმარებიან ტოლები:  
მიხა, პოლიკა, ნესტორი,  
ხელსწრატნი და მებრძოლები.

ქალს იტაცებენ გმირები,  
გოგიას საცოლესაო,  
თოფში ჩაეჭყო ვაზნები,  
ხანჯლები დაელესაო.

სატრიფოს მიუხტენ კარზედა  
ლამით, რომ იწვა ბნელიო,  
წამოხტა ქალი, გოგიას  
ყელში ჩაავლო ხელიო.

ფანჯრის ქვეშ ხეს და ხეს შუა  
ოვე ყოფილი გაბმული,  
ზედ ხურჯინიერი /გოგია  
იყო თავდაღმა ჩაბმული.

რა ქნას? მოსხლტეს და ჩაუხტეს?  
ვით თუ სილრმე დიდია;  
არა და, ბნელში რას ხედავს.  
ზედ ხურჯინიერი ჰეკიდია.

სხევები გაიქცნენ, გმირებმა  
მონახეს ბნელი ხერელები,  
ასე მათ თავის მიზანზე  
დააბანინეს ხელები.

დილით ტყიბულით მოვიდა  
მილიცია და მებნელი,  
მონახეს ბნელი ხერელები,  
უკანვე გზების მტკეპნელი.

ვერც ქალი ვერ მოიტაცეს,  
ვერც გადირჩინეს ტყავები,  
თავს გრძნობენ ფრთებ-დატეხილად  
ეგ უშნო, ღამის ყვავები.

ენუქა.

# რესპუბლიკუ „მარია“

(თბილისი, რუსთაველის გამზირი № 16)



ჩაველი „იმერში“  
ქანც გამოლეული,  
კუთხარი: მშია და  
ვარ თქვენი წვეული.

— მობრძანდით ბატონ!  
შტრინჯაძე ილია,  
რაც გნებავთ მიირთვით  
სუფრა გაშლილია.

შემწვარი ქათამი,  
საცივი წენიანი  
სუკი, ანტრიკოტი,  
მწვადები ცვრიანი.

შუშეუნა ხვანჭებარა,  
სვირული ლალია,

უკეთესს თბილისში  
ვერ ნახავს თვალია!

— მომიტა ან ბორში,  
ან ხარშო ცხელია,  
და მასთან ლულიცა  
ჩამთაფლოს ყელია!

— ემ წუთში ბატონო  
და გაქრა ილია,  
(მარტლაცი, რომ მიღება  
სცოდნიათ ზრდილია.)

ღააწყო ჯონჯოლი,  
კომბოსტო, მწვანილი,  
„იმერთა“ შეკვეთით  
აქ ჩამოტანილია...

სულ ბოლოს სუფრაზე  
მოცოცდა სადილი,  
გსთქვი: ეხლა ასრულდა  
ჭამა-სმის წადილი...

გავშალე ხელი და...  
რას ხედავს თვალები?  
ხორცის ვერსად ვპოულობ  
ტყვილად ვეწვალები.

მივვარდი გამგესთან  
მიშველე ძამია:  
გათხოვე ჭოგრიტი  
სულ ერთი წამია;

იქნებ ხორცეული  
მოვნახო კერძია

ვეძებ და ვერ ვხედავ,  
ვარ განსაცდელშია...

შეგსანსლე რაც იყო  
კუჭს ისევ შიოდა,  
(მუსიკა ხრინჭაძის  
კვნესოდა... წიოდა...)

ოც მანეთს „დამჯერდენ“  
დავწყევლე „იმერი“  
და სასაღილოდან  
გამოველ მშერი!

დაგითა.

## ჩ ვ ე ნ ი ც ი ს ტ ა

ლევანს (ხაშური) იწერებით —

ლექსებს გიგზავნი, ნიანგო,  
შიგ რითმებს ვაქსოვ პეშვებით,  
სანამდი არ დამიბეჭდავ,  
არაფრით არ მოგრძები.

„პეშვებით ნაქსოვ“ რითმებს თუ „მისხლობით ნაქსოვ“ აზრი  
ირ გამოყვა, ვერაფერს გახდებით.

ტიტიქას (ზესტაფონი) მივიღეთ თქვენი ლექსი და თანახმად  
ოქვენი დაუინტისა, ვათავსებთ ჩვენს უურნალში...

უველა მატყობს პოეტი ვარ  
მემარჯვება ლექსი, სტისი,  
და სახელზე ჩემ მიჯნურის  
გამოვაცხვე აკროსტის:

ნაზი სიო ველს ევლება  
უცებ ხევხუვს თავი სტუცა  
ცას და ხმელეთს მირჩევნიხარ  
პრმისფერო ჩემო ნუცა

ოყავით და იბედნიერეთ თქვენი „ატმისფერი“ ნუცათი, მხოლოდ  
ჩვენ თავი დაგვანებეთ.

ჰრამისურის (აქცე) ნიანგმა თქვენს ლექსს ასეთი წარწერა გაუკეთა:

გრამაფონი კი ხარ  
„მარა“,  
მარტო ამან  
არ იკმარა.

ზეიცერტაძეს — (სამტრედა) რატომ არ იწერებით სად მუშა-  
ობს ამჟამად ისიდ. შარაშენიძე, რომელსაც თქვენ ასე მიმართავთ:

„პუტიოფეს (თუ საგზურს?) უველას აძლევ,  
ვინც კი კოხტა ქალია,  
დღეს რომ ცუდად მიგდის ხაქმე,  
მოგონების ბრალია.

კაბინეტში გაამრავლე  
სიძე, ცოლის ძმანია

დაიხსომე, თვითნებობა  
არ შეგრჩება ძამია.

დასახელებულ შარაშენიძეს ქელ ცოდვებსაც მხოლოდ გაკვრით  
იხსენიებთ განმარტებით ბარათში, ამის გმო საშუალება არ გვე-  
ლება რომ ოქენე მასალა მთლიანად გამოვიყენოთ.

გეოცეს (ზესტაფონი) ჩვენ ბევრი ვეწვალეთ, სპეციალური  
თაბირიც მოვიწვიეთ, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ, რისი თქმა გინ-  
დათ ქვევით მოყვანილი ტაეპით:

კლუბმა გაყინა კულტურა(?)  
და მუშებს თავი დაგვიკრა (!)  
გაუუჭდა კინო, დრამწრეცა  
წავიდა(!) ბარგი აიკრა.

კარგი ღირსების კინო და ღრამწრე გვითხარით თორემ, თუ „გა-  
ფუტებული“ კინო და „გაფუტებული“ ღრამწრე წავიდა, რა უნდა  
გქონდეთ ამის საწინააღმდეგო?

მეთვალყურეებას: (ძირულა) იწერიბით რომ სრული საშუა-  
ლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ შალვა შველიძემ:

ჩვენს სასკოლო ქონებიდან  
მიითვისა ერთი შეკუ,  
ფიზიკულტურის ექვსას მანეთს  
ჯიბისაკენ უყო ქაფი.

„ჭეკურ მოქცეულა“. მაშ ჯიბისკენ შეკუს ხომ არ უზამდა  
ქაფი?

პ. მ.-ს (სუფსა, ლანჩხუთის რაიონი) სუფსის საშ. სკოლაზე  
გვაცნობებთ სკოლაში ძალზე ცივაო და თან დასძენთ:

„რომ გვცოდნოდა თავს დროზე  
ამ დღის მოწმე გავხდებოდი,  
უეჭველად პაბანინის  
გმირულ ლაშქარს გავჭვებოდი“-ო.

სიცრუეა: თქვენ მანდ სკოლაში ვერ გაგიძლიათ უცეცხლოდ  
და პოლუსზე წახვიღოდით?

# ენევიკ ემიგრანტის მოჩის

06.03.1920  
წარმატება  
გულების დღის



— რას შვრები ბიჭო, დროზე მოასწარი თორებ შენი საცოლე სხვას მიჰყვება!..  
— მაშინებ?.. მიჰყვება, თორებ ჩემისთანა კოხტა ბიჭი არავინ ნახოს!..